



**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფიზიკის დეპარტამენტი

**გოგითა პაპალაშვილი**

**ატმოსფერული მიუონების ნაკადის აღდგენა ხმელთაშუა ზღვის  
ექსპერიმენტ KM3NeT-ის სანყის ეტაპზე**

**ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის**

**მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ შანიძე

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის

ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი,

თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

თბილისი

2023



**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

Faculty of Exact and Natural Sciences

Department of Physics

**Gogita Papalashvili**

**Reconstruction of Atmospheric Muon Flux at the Initial  
Stage of the KM3NeT Experiment**

**The thesis work is performed to obtain a PhD academic  
degree in Physics**

Scientific supervisor: Revaz Shanidze

Doctor of Phys-Math Sciences,

Associate professor at department of physics,

The faculty of exact and natural sciences of TSU,

Leading researcher at

High Energy Physics Institute of TSU

Tbilisi

2023

# ანოტაცია

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი “ატმოსფერული მიუონების ნაკადის აღდგენა ხმელთაშუა ზღვის ექსპერიმენტ KM3NeT-ის საწყის ეტაპზე” შესრულებულია საერთაშორისო KM3NeT ექსპერიმენტის ფარგლებში. დისერტაციის მიზანს შეადგენდა ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე დეტექტორის რამდენიმე ხაზისგან მიღებული მონაცემების ანალიზი, რომლის საფუძველზე აღდგენილი იყო ატმოსფერული მიუონების ნაკადი ხმელთაშუა ზღვის სიღრმეში.

ნაშრომის პირველ თავში აღწერილია KM3NeT ექსპერიმენტის სამეცნიერო მიზნები. კერძოდ, მაღალი ენერგიების ნეიტრინული ასტრონომია და ნეიტრინოს თვისებების შესწავლა. მათ შორის ნეიტრინოების მასური იერარქიის დადგენა.

KM3NeT ექსპერიმენტი და მისი დეტექტორები - ARCA და ORCA აღწერილია დისერტაციის მეორე თავში. მათი დანიშნულებაა შეისწავლონ ასტროფიზიკური ნეიტრინოები, მათი წყაროები და ნეიტრინოების თვისებები. KM3NeT/ARCA გამიზნულია შორეული ასტროფიზიკური ობიექტებიდან წამოსული ნეიტრინოების დაკვირვებისთვის, ხოლო KM3NeT/ORCA ოპტიმიზირებულია ატმოსფერული ნეიტრინოების დასაკვირვებლად მათი თვისებების შესწავლის მიზნით. განხილულია KM3NeT დეტექტორის მუშაობის პრინციპი და პროექტის არსებული სტატუსი. KM3NeT ექსპერიმენტის ძირითადი ელემენტია ციფრული მულტისენსორული ოპტიკური მოდული, რომელიც ამ ექსპერიმენტისთვის შეიქმნა და წარმოადგენს ინოვაციურ დეტექტორს. ამ დეტექტორიდან მიღებული მონაცემების ანალიზი დისერტაციის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა.

KM3NeT-ში მიღებული პირველადი მონაცემების ანალიზის მიზნით, დისერტაციის ფარგლებში, თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში შეიქმნა KM3NeT კომპუტერული ცენტრი. ამ ცენტრის სერვერებზე განთავსდა როგორც KM3NeT თანამშრომლობაში შექმნილი, ასევე ნაწილაკების ფიზიკაში მონაცემთა ანალიზისთვის ფართოდ გამოყენებული კომპუტერული პროგრამები. თსუ KM3NeT სერვერი ასევე გამოყენებული იყო ნეიტრინული და მიუონური შემთხვევების სიმულაციებისთვის. KM3NeT ექსპერიმენტის კომპუტინგის სადგური ასევე განთავსდა საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციის (გრენა) კომპუტერულ ცენტრში. ნაშრომში მოყვანილი კვლევები ძირითადად შესრულებულია დისერტაციის ფარგლებში შექმნილ ცენტრებში.

KM3NeT დეტექტორის საწყისი მონაცემებიდან ატმოსფერული მიუონების ნაკადის აღდგენა ხმელთაშუა ზღვის სიღრმეში მოყვანილია სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავში. ატმოსფერული მიუონების ნაკადი გაზომილია ხმელთაშუა ზღვაში -

2232–3386 მეტრ სიღრმეზე ORCA დეტექტორის ერთი ხაზის და ARCA დეტექტორის ორი ხაზის საშუალებით. მიღებულია ატმოსფერული მიუონების ნაკადის ზღვის სიღრმეზე დამოკიდებულება. ჩატარებული კვლევის შედეგები თანხვედრაშია ANTARES ექსპერიმენტის შედეგებთან. ექსპერიმენტიდან აღდგენილი ატმოსფერული მიუონების ნაკადის ზღვის სიღრმეზე დამოკიდებულება კარგად აღინერება არსებული თეორიული მოდელით.

დისერტაციის ფარგლებში KM3NeT ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე მიღებული შედეგების ანალიზი, რომელიც ჩატარებული იყო თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში, ადასტურებს KM3NeT პროექტში გამოყენებული ინოვაციური მეთოდების მართებულობას.

# Abstract

The doctoral thesis "Reconstruction of atmospheric muon flux at the initial stage of the KM3NeT experiment" was performed within the framework of the international KM3NeT experiment. The aim of the thesis was to analyze the data obtained from several detector lines at the initial stage of the experiment, on the basis of which the flux of atmospheric muons in the depths of the Mediterranean Sea was measured.

The first chapter of the thesis describes the scientific goals of the KM3NeT experiment. In particular, high-energy neutrino astronomy and the study of neutrino properties, among them, determining the mass hierarchy of neutrinos.

The KM3NeT experiment and its detectors - ARCA and ORCA are described in the second chapter of the thesis. Their purpose is to study astrophysical neutrinos, their sources and neutrino properties. KM3NeT/ARCA is designed to observe neutrinos from distant astrophysical objects, while KM3NeT/ORCA is optimized to observe atmospheric neutrinos to study their properties. The operation principle of the KM3NeT detector and the current status of the project are discussed. The key element of the KM3NeT experiment is the innovative digital optical module, which was developed for this experiment and consists of multi photomultiplier tubes. It should be stated that each optical module could be used as an individual detector. Analysis of the data obtained from this detector was one of the goals of the thesis.

In order to analyze the primary data obtained in KM3NeT, within the framework of the thesis, the KM3NeT computer centre was created at the High Energy Physics Institute of TSU. The server of this centre hosts software created in KM3NeT collaboration, as well as widely used data analysis software in particle physics. TSU KM3NeT server was also used for neutrino and muon event simulations. The computing station of the KM3NeT experiment located in the computer centre of the Georgian Research and Educational Networking Association (GRENA) was also created within the thesis. The studies presented in this PhD dissertation are mainly performed in the centres created within the framework of the thesis.

The reconstruction of the atmospheric muon flux in the depth of the Mediterranean Sea from the initial data of the KM3NeT detector is presented in the fourth chapter of the thesis. Atmospheric muon flux was measured in the Mediterranean Sea at a depth of 2232–3386 meters by using one line of the ORCA

detector and two lines of the ARCA detector. The dependence of the atmospheric muon flux on the sea depth is obtained. The results of the conducted research are in agreement with the previous measurement (ANTARES results). The dependence of the atmospheric muon flux on the Mediterranean Sea depth is in accordance with the existing theoretical model as well.

The analysis of the results obtained at the initial stage of the KM3NeT experiment within the framework of the thesis, which was carried out at the Institute of High Energy Physics of TSU, confirms the validity of the innovative methods used in the KM3NeT project.

# შინაარსი

ანოტაცია.....	3
Abstract.....	5
1. შესავალი.....	8
1.1 ნეიტრინული ფიზიკა და ასტროფიზიკა.....	12
2. KM3NeT ექსპერიმენტი და მისი მულტისენსორული ოპტიკური მოდული...19	
2.1 ჩერენკოვის გამოსხივება.....	19
2.2 KM3NeT ექსპერიმენტი.....	21
2.4 KM3NeT ოპტიკური მოდული.....	29
3. მონაცემების მიღება და ანალიზი KM3NeT ექსპერიმენტში.....	43
3.1 კომპუტინგის მოდელი KM3NeT ექსპერიმენტში.....	43
3.2. მონაცემთა მიღება და მონიტორინგი KM3NeT ექსპერიმენტში.....	47
3.3 KM3NeT პროექტის მეორე დონის (Tier-2) სერვერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასზე ჩატარებული კვლევები.....	49
4. ატმოსფერული მიუონების ნაკადის აღდგენა ხმელთაშუა ზღვის სიღრმეში KM3NeT ოპტიკური მოდულების საშუალებით.....	64
4.1. ატმოსფერული მიუონები.....	65
4.2 ატმოსფერული მიუონების ნაკადის ზღვის სიღრმეზე დამოკიდებულების შესწავლა.....	70
5. შეჯამება და დასკვნა.....	81
გამოყენებული ლიტერატურა.....	83
დანართები.....	90
დანართი 1: KM3NeT ექსპერიმენტის მონაცემთა სტრუქტურა.....	90
დანართი 2: KM3NeT დეტექტორის კომპუტერული მოდელი.....	93

# 1. შესავალი

ასტრონაწილაკების ფიზიკა მეცნიერების შედარებით ახალი დარგია, რომელიც სწავლობს მაღალი ენერგიების კოსმოსურ ნაწილაკებს და მათ კავშირს ასტროფიზიკასა და კოსმოლოგიასთან. ამ მიმართულებას ეკუთვნის მაღალი ენერგიების ნეიტრინული ასტრონომია. ნეიტრინოებს ჩვენამდე მოღწევა და ინფორმაციის მოტანა შეუძლიათ ისეთი ასტროფიზიკური ობიექტებიდან, საიდანაც ელექტრომაგნიტური გამოსხივება და სხვა ნაწილაკები ვერ აღწევენ. ამის საუკეთესო მაგალითია შშის ცენტრში, თერმობირთვული რეაქციების შედეგად წარმოქმნილი ნეიტრინოების დაკვირვება. ასევე აღსანიშნავია გეახალი ვარსკვლავის (სუპერნოვა) აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ნეიტრინოების ნაკადის დეტექტირება 1987 წელს (Hirata et al., 1987), რის შედეგად ვარსკვლავების ევოლუციის თვისობრივი სურათის დადგენა გახდა შესაძლებელი. მაღალი ენერგიების ნეიტრინული ასტრონომიის ძირითადი


ამოცანაა პასუხი გასცეს თანამედროვე ბუნებისმეტყველების ისეთ ფუნდამენტურ კითხვებს, როგორც არის მაღალი ენერგიების კოსმოსური სხივების ასტროფიზიკური წყაროებისა და მათი აჩქარების მექანიზმის პრობლემა. კოსმოსური ნეიტრინოების საშუალებით შესაძლებელია ასევე ბნელი (უხილავი) მატერიის არაპირდაპირი დაკვირვება. მაღალი ენერგიის ნეიტრინულ ტელესკოპებში შესაძლებელია ასევე ნეიტრინოების თვისებების შესწავლა. ამ მიზნით გამოიყენება ატმოსფერული ნეიტრინოები, რომლებიც ატმოსფეროში კოსმოსური სხივების ატმოსფეროს ნაწილაკებთან ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნიებიან (Stanev, 2010).

დღემდე (2023 წლამდე), მაღალი ენერგიების ნეიტრინული ასტრონომია (ასტროფიზიკა) ძირითადად ეყრდნობოდა ორ საერთაშორისო პროექტს – ANTARES (ANTARES Collaboration, 1999) და IceCube (IceCube Collaboration, 2013). პირველი განლაგებულია ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე, დაახლოებით 2500 მეტრის სიღრმეზე, საფრანგეთის ქალაქ ტულონიდან 40 კმ მანძილზე, ხოლო მეორე, რომელიც სადღეისოდ მსოფლიოში ყველაზე დიდი ნეიტრინული ტელესკოპია, განლაგებულია ანტარქტიდაში, სამხრეთ პოლუსზე, ამუნდსენ-სკოტის პოლარულ სადგურთან. მაღალი ენერგიების კოსმოსური ნეიტრინოების პირველი დაკვირვება შესაძლებელი გახდა IceCube ნეიტრინული ტელესკოპის საშუალებით . ამ დაკვირვებამ დაადასტურა, რომ მაღალი ენერგიების



ნეიტრინოები სამყაროს შესწავლის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს და გახსნა სამყაროს შესწავლის ახალი ნეიტრინული ფანჯარა.


კოსმოსური სხივების ძირითადი ნაწილი სხვადასხვა ელემენტის ბირთვისგან შედგება. მათგან 90% ყველაზე მსუბუქი ელემენტის - წყალბადის ბირთვი, ანუ პროტონია. გალაქტიკურ და გალაქტიკებს შორის არსებული მაგნიტური ველები, მიუხედავად სიმცირისა ( $10^{-9}$  ტესლა რიგის), კოსმოსური სხივების სანყისი მიმართულების გადახრას იწვევს. ცხადია, ეს შეუძლებელს ხდის კოსმოსური სხივების წყაროების ძებნას დამუხტული ნაწილაკებით. კოსმოსური სხივების წყაროდან (კოსმოსური ამაჩქარებლებიდან) დედამიწამდე ორი ნაწილაკი მოძრაობს წრფივად - მაღალი ენერგიების გამა სხივები ( $\gamma$ -ნაწილაკები) და ნეიტრინოები ( $\nu$ ). სურათ 1.1-ზე მოცემულია აღნიშნული პროცესების ილუსტრაცია.



სურათი. 1.1 გამა ნაწილაკების, ნეიტრინოებისა და პროტონების გავრცელების ილუსტრაცია წყაროდან დედამიწამდე

ბოლო ათწლეულებში ჩვენს სამყაროში მიმდინარე მაღალი ენერგიების პროცესების შესასწავლად ორივე ნაწილაკი გამოიყენება. კვლევები ამ ნაწილაკებით ფუნდამენტური კვლევების ახალ მიმართულებას - ასტრონაწილაკების ფიზიკას მიეკუთვნება. მაღალი ენერგიების გამა-ასტრონომია და მაღალი ენერგიების ნეიტრინული ასტრონომია

ასტრონომიის ფიზიკის ქვემიმართულებებს წარმოადგენენ. გამა ასტრონომიის ხელსაწყოები განლაგებულია როგორც კოსმოსურ თანამგზავრებზე (ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი, მაგალითად Fermi – LAT) (Atwood et al., 2009) ასევე დედამიწაზე. დედამიწაზე განლაგებული მაღალი ენერგიების  $\gamma$  - სხივების დეტექტორები ჩერენკოვის ტელესკოპებს წარმოადგენენ. თანამგზავრული და ატმოსფერული ინსტრუმენტების საშუალებით კოსმოსში აღმოჩენილია მაღალი ენერგიების  $\gamma$  - წყაროების დიდი რაოდენობა (Wakely & Horan, 2008), რომლებიც ნაჩვენებია სურ. 1.2-ზე. გამა ნაწილაკების დაფიქსირება არ იძლევა ცალსახა პასუხს კითხვაზე წარმოადგენენ თუ არა ეს ობიექტები იმ წყაროებს, სადაც კოსმოსური სხივების აჩქარება ხდება. ეს იმით არის გამოწვეული, რომ  $\gamma$  - სხივების წარმოქმნა შესაძლებელია როგორც კოსმოსური სხივების ურთიერთქმედებების შედეგად მიღებული მეორადი ნაწილაკების დაშლებში (ძირითადად  $\pi^0 \rightarrow \gamma \gamma$ ), ასევე მაღალი ენერგიის ელექტრონების გაბნევით კოსმოსური მიკროტალღური ფონის ფოტონებზე (კომპტონის შებრუნებული ეფექტი), რაც შეიძლება არ იყოს დაკავშირებული კოსმოსური სხივების წყაროებთან. გამა ასტრონომიის მეორე შეზღუდვა დაკავშირებულია მაღალი ენერგიების  $\gamma$  - სხივების ჩახშობასთან კოსმოსური ფონის ფოტონების მიერ, რაც ზღუდავს შორეული ასტროფიზიკური ობიექტების დაკვირვების შესაძლებლობებს.




სურათი 1.2. მაღალი ენერგიების გამა ნაწილაკების წყაროები

მაღალი ენერგიების კოსმოსური ნეიტრინოების აღმოჩენა ცალსახად მიუთითებს კოსმოსური სხივების ურთიერთქმედებაზე ასტროფიზიკურ ობიექტებში. ვინაიდან ნეიტრინოები მხოლოდ სუსტ და გრავიტაციულ ურთიერთქმედებაში მონაწილეობენ, ასევე არ განიცდიან ფონური ფოტონების მოქმედებას და შესაბამისად ჩახშობის გარეშე აღწევენ დედამიწას. მათი

დეტექტირება დედამიწაზე, იმავე მიზნის გამო, ძალიან რთულ ექსპერიმენტულ ამოცანას წარმოადგენს და ძალიან დიდი მოცულობის დეტექტორების საშუალებით არის შესაძლებელი. პირველი თაობის ნეიტრინულმა ტელესკოპებმა (Baikal (Belolaptikov et al., 1997), AMANDA (for the AMANDA Collaboration. & Silvestri, 2005), ANTARES) აჩვენეს, რომ ნეიტრინოების დეტექტირება შესაძლებელია ბუნებრივ გარემოში მოთავსებული ჩერენკოვის დეტექტორების საშუალებით. მეორე თაობის ნეიტრინული დეტექტორი IceCube რამდენიმე წელია წარმატებით მუშაობს ანტარქტიკაში სამხრეთ პოლუსზე, ხოლო ტელესკოპი KM3NeT, რომელსაც ეს ნაშრომი ეფუძნება ამჟამად მშენებლობის პროცესშია ხმელთაშუა ზღვაში.

ასტროფიზიკური კვლევების ერთ-ერთ თანამედროვე მიდგომას წარმოადგენს მულტიმესენჯერული ასტრონომია. ის გულისხმობს ერთი და იმავე ობიექტის დაკვირვებასა და შესწავლას სხვადასხვა სიგნალებით, კერძოდ ელექტრო-მაგნიტური გამოსხივებით, გრავიტაციული ტალღებით და ნეიტრინოებით. მსგავსი კვლევა ისეთი პროცესების დაკვირვების საშუალებას იძლევა, რომლებიც ცალკე აღებული სიგნალების ფარგლებს ცდება. მულტიმესენჯერული დაკვირვებების მიზნით შექმნილია სხვადასხვა ტიპის ტელესკოპების და დეტექტორების გლობალური ქსელი. როდესაც ერთი ტელესკოპი ან დეტექტორი დააკვირდება განსაკუთრებულ შემთხვევას, ის გზავნის შეტყობინებას მულტიმესენჯერულ ქსელში, რომ ამ შემთხვევის დაკვირვება სხვა სიგნალებით მოხდეს. ასეთი მულტიმესენჯერული ასტრონომიის ქსელის წევრია KM3NeT კოლაბორაცია (Adrián-Martínez et al., 2016). სურ. 1.3 ა)-ზე წარმოდგენილია KM3NeT ექსპერიმენტის სტრატეგია სუპერნოვასათვის დამახასიათებელი სიგნალების აღმოჩენის შემთხვევაში. ხოლო სურათი 1.3 ბ) გვიჩვენებს 10 კილოპარსეკის დაშორებით სხვადასხვა ზომის სუპერნოვასათვის დამახასიათებელი მოსალოდნელი სიგნალების სიმულაციას (KM3NeT Collaboration et al., 2021, 2022).



სურათი 1.3 ა) KM3NeT ექსპერიმენტის სტრატეგია სუპერნოვას მულტიმესენჯერული დაკვირვებისათვის; ბ) სხვადასხვა ზომის სუპერნოვასათვის დამახასიათებელი სიგნალების მრავლობითობა KM3NeT ექსპერიმენტში

## 1.1 ნეიტრინული ფიზიკა და ასტროფიზიკა

სტანდარტული მოდელის თანახმად, ლეპტონები წარმოადგენენ სუბატომური ნაწილაკებს რომლებიც მონაწილეობენ, სუსტ, ელექტრომაგნიტურ და გრავიტაციულ ურთიერთქმედებებში. ლეპტონები ითვლებიან ელემენტარულ ნაწილაკებად (მიიჩნევა, რომ ლეპტონებს არ გააჩნიათ ქვესტრუქტურა). ისინი ან ხასიათდებიან ერთეული ელექტრული მუხტით ან ელექტრონეიტრალურები არიან. დამუხტული ლეპტონებია ელექტრონი -  $e$ , მიუონი -  $\mu$  და ტაუონი -  $\tau$ . სამივე ლეპტონი უარყოფითი მუხტით ხასიათდება. დამუხტულ ლეპტონებს შორის ყველაზე მსუბუქი ელექტრონია, მას მასური იერარქიით მიუონი მოსდევს რომლის მასაც დაახლოებით 200-ჯერ აღემატება ელექტრონის მასას, ხოლო ტაუ ლეპტონის მასა 3700-ჯერ მეტია ელექტრონის მასაზე. როგორც სხვა ნაწილაკებს, აღნიშნულ ლეპტონებსაც აქვთ მათი ანტინაწილაკები, რომლებიც საპირისპიროდ - დადებითად არიან დამუხტულნი. ყოველ დამუხტულ ლეპტონთან ასოცირდება ელექტრონეიტრალური ლეპტონი - ნეიტრინო.

ნეიტრინო ( $\nu$ ) მსუბუქი, უმუხტო ლეპტონია. მისი სპინია -  $\frac{1}{2}$ , ლეპტონური რიცხვი - 1. ნეიტრინოს მხოლოდ სუსტი და გრავიტაციული ურთიერთქმედება ახასიათებს. სუსტი ურთიერთქმედების შესაბამისი მანძილები ძალიან მცირე -  $10^{-17}$ მ რიგისაა, მათთვის გრავიტაციული ურთიერთქმედება კი იმდენად მცირეა,

შეასაძლებელია უგულებელყოფა. ამრიგად უმეტესწილად, ნეიტრინოები დაბრკოლების გარეშე განჭოლავენ ნებისმიერ გარემოს.

არსებობს სამი არომატის ნეიტრინო: ელექტრონული ნეიტრინო -  $\nu_e$ , მიუონური ნეიტრინო -  $\nu_\mu$  და ტაუონური ნეიტრინო -  $\nu_\tau$ . არსებობს მათი ანტინაწილაკებიც - ანტინეიტრინოები.

$Q/e$	$L_e = -1$	$L_\mu = -1$	$L_\tau = -1$
0	$\begin{pmatrix} \bar{\nu}_e \\ e^+ \end{pmatrix}$	$\begin{pmatrix} \bar{\nu}_\mu \\ \mu^+ \end{pmatrix}$	$\begin{pmatrix} \bar{\nu}_\tau \\ \tau^+ \end{pmatrix}$
$Q/e$	$L_e = 1$	$L_\mu = 1$	$L_\tau = 1$
0	$\begin{pmatrix} \nu_e \\ e^- \end{pmatrix}$	$\begin{pmatrix} \nu_\mu \\ \mu^- \end{pmatrix}$	$\begin{pmatrix} \nu_\tau \\ \tau^- \end{pmatrix}$

ცხრილი 1.1. ლეპტონების თაობები

პირველადი მოსაზრებით, ნეიტრინოს მასა 0-ის ტოლი იყო. თუმცა, ნეიტრინოების არომატების ოსცილაციებიდან გამომდინარე (Bilenky, 2016), უნდა არსებობდეს ნეიტრინოების 3 მასური მდგომარეობა ( პირობითი სახელებით '1', '2', '3' ) , რომელთა წრფივ კომბინაციასაც წარმოადგენს თითოეული არომატის ნეიტრინო.

$$\begin{bmatrix} \nu_e \\ \nu_\mu \\ \nu_\tau \end{bmatrix} = \begin{bmatrix} U_{e1} & U_{e2} & U_{e3} \\ U_{\mu1} & U_{\mu2} & U_{\mu3} \\ U_{\tau1} & U_{\tau2} & U_{\tau3} \end{bmatrix} \begin{bmatrix} \nu_1 \\ \nu_2 \\ \nu_3 \end{bmatrix} \quad (1.1)$$

ფორმულა 1.1. მასური მდგომარეობების შერევის მატრიცა

U - მასური მდგომარეობების შერევის მატრიცაა (პონტეკორვო - მაკი - ნაკაგავა - საკატას მატრიცა - PMNS), რომლის პარამეტრებია შერევის  $\theta_{12}$ ,  $\theta_{13}$  და  $\theta_{23}$  კუთხეები და CP-ს დამრღვევი  $\delta$ -ფაზა. ნეიტრინოს სივრცეში გადაადგილებისას მასური კომპონენტები სხვადასხვა სიჩქარით მოძრაობენ, რაც იწვევს შესაბამის კვანტურ-მექანიკურ ტალღურ პაკეტებში ფაზურ წანაცვლებებს და სუპერპოზიციის ცვლილებას. შედეგად ნეიტრინოს არომატი იცვლება ანუ ნეიტრინოები ოსცილირებენ. ოსცილაციის ექსპერიმენტებზე იზომება არა თითოეული მდგომარეობის ( $\nu_1$ ,  $\nu_2$ ,  $\nu_3$ ) შესაბამისი მასები, არამედ ამ მასათა სხვაობის


კვადრატი -  $\Delta m_{ij}^2 = \Delta m_i^2 - \Delta m_j^2$  ( $i, j=1,2,3$ ) (Hofestädt, 2020). ცნობილია მასათა კვადრატის ორი მნიშვნელობა - მზისა და ატმოსფერული ნეიტრინოების შესაბამისი:

$$\Delta m_{sol}^2 \simeq 7.5 \times 10^{-5} eV^2 \text{ და } \Delta m_{atm}^2 \simeq 2.5 \times 10^{-3} eV^2 \quad (1.2)$$

სიდიდის მიხედვით მასათა თანმიმდევრობა ანუ მასური იერარქია ჯერ დადგენილი არ არის. თუ დავაფიქსირებთ, რომ:  $\Delta m_{21}^2 = \Delta m_{sol}^2 > 0$

ხერხდება იერარქიის ორი შესაძლებლობის გამოყოფა :

1. ნორმალური იერარქია - NH -  $m_1 < m_2 < m_3$
2. შებრუნებული იერარქია - IH -  $m_3 < m_1 < m_2$



სურ. 1.4. ნეიტრინოების მასური იერარქია.

თეორიული ფიზიკისათვის ოსცილაციებისა და ნეიტრინოების მასური იერარქიის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს PMNS მატრიცის პარამეტრები. ამას გარდა, შეიქმნას შესაბამისი თეორიული მოდელი, რომელიც ახსნის ლეპტონების მასის წარმომავლობასა და მასათა განსხვავებულ სპექტრს კვარკებსა და ლეპტონებს შორის. ექსპერიმენტული თვალსაზრისით კი მასური იერარქიის განსაზღვრა სამომავლოდ დაეხმარება ექსპერიმენტულ

ფიზიკას CP-დარღვევის პროცესების შესწავლასა და შესაბამისი ფაზის (წ) დადგენაში, ნეიტრინოების აბსოლუტური მასებისა და ნეიტრინოს ბუნების (დირაკის თუ მაიორანას ნაწილაკი) განსაზღვრაში. ასტროფიზიკური თვალსაზრისით იერარქიას გავლენა აქვს ზეახალი ვარსკვლავის აფეთქებაში ნეიტრინოს არომატის ცვლილებაზე.

მაღალი ენერგიების ნეიტრინოების ძირითადი წყაროა, ნაწილაკების, პირველ რიგში დამუხტული პიონებისა ( $\pi^\pm$ ) და კაონების ( $K^\pm$ ) სუსტი დაშლები. პიონები და კაონები ძლიერად ურთიერთქმედ ნაწილაკებს წარმოადგენენ, რომლებიც მაღალი ენერგიების პროტონებისა და ბირთვების ურთიერთქმედებისას იბადებიან, და შემდეგ სუსტი ურთიერთქმედების შედეგად იშლებიან. შესაბამისად მაღალი ენერგიების ნეიტრინოების დაკვირვება პიონებისა და კაონების დაბადებაზე, ე.ი. მაღალი ენერგიების ადრონულ ურთიერთქმედებებზე მიაწინებს.

დაშლის არხი
$\pi^\pm \rightarrow \mu^\pm \nu_\mu$
$K^\pm \rightarrow \mu^\pm \nu_\mu$
$K^\pm \rightarrow \pi^0 e^\pm \nu_e$
$K^\pm \rightarrow \pi^0 \mu^\pm \nu_\mu$
$\mu^\pm \rightarrow e^\pm \nu_\mu \nu_e$


ცხრილი 1.2. ძირითადი დაშლები, რომლებშიც ნეიტრინოების დაბადება ხდება.

კოსმოსური ნეიტრინოები კოსმოსური სხივების ურთიერთქმედებებში წარმოქმნილი ნაწილაკების დაშლების შედეგად მიიღებიან. შესაბამისად მათი დაკვირვება ცალსახად განსაზღვრავს ასტროფიზიკურ ობიექტს, სადაც კოსმოსური სხივები ნივთიერებასთან ურთიერთქმედებენ, რაც დიდი ალბათობით ის ასტროფიზიკური ობიექტია, სადაც მაღალი ენერგიების კოსმოსური სხივების აჩქარება ხდება. დღემდე ბოლომდე გარკვეული არ არის თუ სად და როგორ ხდება კოსმოსური სხივების ნაწილაკების აჩქარება.

ნეიტრინოების ძირითადი წყაროები:

- 1) დიდი აფეთქების კოსმოსური ნეიტრინული ფონი


- 2) ბირთვული რეაქციები ვარსკვლავებში
- 3) ზეახალი ვარსკვლავის აფეთქება
- 4) ბირთვული რეაქციები რეაქტორებში
- 5) ატმოსფერული ნეიტრინოები
- 6) კოსმოგენური ნეიტრინოები



სურ. 1.5. ნეიტრინოების წყაროები


ნეიტრინოების ინტენსიურ დაბადებას ადგილი აქვს კოსმოსური სხივების ნაწილაკების ატმოსფეროს ბირთვებთან ურთიერთქმედებების დროს. სურ 1.6.





სურათი 1.6. ატმოსფერული ღვარების წარმოქმნა

რადგანაც ატმოსფეროს სიმკვრივე გაცილებით მეტია კოსმოსური გარემოს სიმკვრივეზე, შესაბამისად ნეიტრინოების ინტენსიურ წყაროს ატმოსფეროში მიმდინარე რეაქციები წარმოადგენენ. ასეთ ნეიტრინოებს ატმოსფერულ ნეიტრინოებს უწოდებენ. ეს ნეიტრინოები კოსმოსური ნეიტრინოების დაკვირვებებისთვის დაუყვანად ფონს წარმოადგენს, თუმცა მათი საშუალებით შესაძლებელია ნეიტრინოების თვისებების შესწავლა, კერძოდ კი ნეიტრინული ოსცილაციების დაკვირვება და ოსცილაციის პარამეტრების გამოძვა. კოსმოსური სხივების სპექტრი მოცემულია სურათზე 1.7. როგორც სურათიდან ჩანს, კოსმოსური სხივების ნაწილაკების ენერგიები მნიშვნელოვნად აღემატება პროტონულ ამაჩქარებლებზე მიღებულ ენერგიებს და ფარავს ინტერვალს  $E_{CR} < 10^{21}$  ევ. ( $10^{12}$  გევ). კოსმოსური ნაწილაკების ენერგიის ყოფაქცევა ხარისხის ფუნქციით ( $E^{-\alpha}$ ) აღინერება, რომლის მაჩვენებელი მუდმივია დაახლოებით 1012 ევ. ენერგიაზე ( $\alpha=2.7$ ). ის არე სადაც ხარისხის მაჩვენებელი იცვლება, ცნობილია როგორც კოსმოსური სხივების სპექტრის “მუხლი” (knee). კოსმოსური სხივების მუხლი, სავარაუდოდ დაკავშირებულია ჩვენ გალაქტიკაში წარმოქმნილ კოსმოსურ სხივებთან. მუხლის შემდეგ ინდექსი იცვლება ( $\alpha=3.7$ ) იმ არემდე, რომელიც ცნობილია როგორც “კოჭი” (ankle). დაახლოებით 1019 ევ. ენერგიაზე, კოსმოსური სხივები ურთიერთქმედებას იწყებენ კოსმოსის მიკროტალღური გამოსხივების ფოტონებთან, რაც იწვევს კოსმოსური სხივების ენერგიის ჩამოჭრას (ე.წ. გრაიზენ-კუმინ-ბაცეპინის ჩამოჭრა) (Greisen, 1966; Watson, 2014).



სურათი 1.7. კოსმოსური სხივების სპექტრი

ატმოსფერული ნეიტრინოები, დაბალ ენერგიებზე (რამდენიმე ათეული გევ.) ძირითადად დამუხტული პიონების დაშლებში წარმოიქმნება, რომლებიც თავის მხრივ იხადებიან რეაქციაში:



სადაც -  $A_{\text{atm}}$  ატმოსფეროში არსებული ბირთვებია (ძირითადად აზოტი და ჟანგბადი). ენერგიის ზრდასთან ერთად იზრდება დამუხტულ კაონების დაბადებისა და შეაბამისად კაონების დაშლებიდან გაჩენილი ნეიტრინოების წვლილი. ატმოსფერული ნეიტრინოების სპექტრის გამოთვლისთვის აუცილებელია კოსმოსური სხივების ინტენსივობისა და ატმოსფეროს შემადგენლობის ზუსტი მონაცემები.

ნეიტრინული ფიზიკისა და ასტროფიზიკური კვლევებისათვის (Katz & Spiering, 2012) ამჟამად ხმელთაშუა ზღვაში შენდება ახალი თაობის ნეიტრინული ტელესკოპი, KM3NeT (**Kilometer Cube Neutrino Telescope**). აღნიშნული დეტექტორის მშენებლობა ეყრდნობა ANTARES - პროექტში მიღებულ გამოცდილებას. KM3NeT ექსპერიმენტის მიზანია როგორც კვლევები ასტროფიზიკაში, ასევე ნეიტრინოების თვისებების შესწავლა (ოსცილაციის პარამეტრები, ნეიტრინოს მასების იერარქიის დადგენა). გემოთმოყვანილი


სამივე ტელესკოპი ჩერენკოვის დეტექტორს წარმოადგენს, რომლებიც განლაგებულნი არიან ბუნებრივ, გამჭვირვალე გარემოში - ზღვასა და ყინულში.

## **2.KM3NeT ექსპერიმენტი და მისი მულტისენსორული ოპტიკური მოდული**

### **2.1 ჩერენკოვის გამოსხივება**

ჩერენკოვის ცდების შედეგის პირველი ახსნა მოგვცა ვავილოვმა, იმავე ჟურნალში, რომელშიც იყო გამოქვეყნებული ჩერენკოვის შრომები. ვავილოვი სამართლიანად თვლიდა, რომ აღმოჩენილი გამოსხივება გამონვეული იყო ელექტრონის და არა ატომის მოძრაობით გარემოში. ამასთან ის თვლიდა, რომ გამოსხივება დაკავშირებულია ელექტრონის გარემოსთან ურთიერთქმედებისას დამუხრუჭებასთან. მართლაც, კლასიკური ელექტროდინამიკიდან ცნობილი იყო, რომ აჩქარებით მოძრავი დამუხრუჭებული ნაწილაკი ასხივებს. თუმცა ვავილოვის ეს ელემენტარული ჰიპოთეზა ამომწურავად ვერ ხსნიდა ექსპერიმენტული ფაქტების სრულ ერთობლიობას. კერძოდ კი, გამოსხივების ინტენსივობის ძალიან სუსტ დამოკიდებულებას გარემოს შემადგენელი ატომების გვარობასთან. ამიტომ ეს პირველადი თეორია უგულებელყოფილ იქნა. სწორი ახსნა აღმოჩნდა უფრო მარტივი და ამავედროულად ლამაზიც, რომელიც ეკუთვნოდა ტამს და ფრანკს. მათ აჩვენეს, რომ დამუხრუჭებული ნაწილაკი, რომელიც მოძრაობს გარემოში თანაბრად და წრფივად ისე რომ მისი სიჩქარე აღემატება გარემოში სინათლის სიჩქარეს, იწვევს ჩერენკოვის გამოსხივებას. 1937 წლამდე, ტამის და ფრანკის პუბლიკაციამდე (Tamm & Frank, 1937) ითვლებოდა, რომ თანაბრად და წრფივად მოძრავი მუხტი არ უნდა ასხივებდეს. ასევე ითვლებოდა, რომ ნაწილაკის სიჩქარე ვერ გადააჭარბებდა სინათლის სიჩქარეს. მაგრამ ეს უკანასკნელი მტკიცება სამართლიანია მხოლოდ ვაკუუმისთვის. მართლაც ვაკუუმში, ფარდობითობის თეორიის თანახმად, სინათლის გავრცელების სიჩქარეა  $c = 3 \times 10^8$  მ/წმ არის მაქსიმალური შესაძლო სიჩქარე და შესაბამისად,  $v < c$  პირობა ყოველთვის სრულდება. მაგრამ ნივთიერებაში ნაწილაკის გავრცელება სხვა საქმეა. როგორც ვიცით, ნივთიერებაში  $n$  - გარდატეხის მაჩვენებლით, სინათლის სიჩქარე ტოლია  $c/n$  და შესაძლებელი ხდება  $v > c/n$  პირობის შესრულება, ფარდობითობის თეორიასთან უთანხმოების გარეშე. ვაჩვენოთ, რომ ისევე როგორც კლასიკური ტალღური ოპტიკიდან, ისევე

კორპუსკულური წარმოდგენებიდან სინათლის შესახებ გამომდინარეობს, რომ მუხტი, რომელიც მოძრაობს გარემოში ზესინათლის სიჩქარით, უნდა ასხივებდეს უწყვეტად. განვიხილოთ მუხტი, რომელიც მოძრაობს მუდმივი  $v$  სიჩქარით გამჭვირვალე გარემოში, რომლის გარდატეხის მაჩვენებელი  $z$  ღერძის გასწვრივ არის  $n$ . სინათლის კლასიკური ტალღური თეორიის თანახმად მუხტის ტრაექტორიის ყოველი წერტილი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყარო, რომლიდანაც ყოველი მიმართულებით ვრცელდება ელექტრომაგნიტური ტალღა  $c/n$  სიჩქარით.



სურათი 2.1. ჩერენკოვის გამოსხივებაში სხივების სვლათა სხვაობა

A და B წერტილებიდან ტრაექტორიისადმი  $\theta$  კუთხით წამოსული  $\Delta l$  - ტალღის სიგრძეთა სვლათა სხვაობა განისაზღვრება დროით -  $t_1 = AC \cdot \frac{c}{n}$  და  $t_2 = \frac{AC}{v}$  დაყოვნებით, B წერტილში გამოსხივების დაწყებამდე.  $t_1$ -დან  $t_2$  მომენტამდე გასული დრო ტოლია A წერტილიდან B წერტილში მუხტის გადაადგილების დროის (იხილეთ სურ. 2.1)

$$\Delta l = AC \cdot \frac{c}{n} (t_1 - t_2) = AB \cdot \left( \frac{1}{\beta n} - \cos \theta \right), \quad \beta = \frac{v}{c} \quad (2.1)$$

ინტერფერენციის ელემენტარული თეორიიდან ცნობილია, რომ როდესაც:

$\Delta l = \frac{m\lambda}{2}$  ( $m = 0, 1, 2 \dots$ ) და  $m$  კენტი რიცხვია მაშინ ტალღები ერთმანეთს ახშობენ მთლიანად. ხოლო, როდესაც  $m$  ლუწი რიცხვია ან ნულის ტოლია, მაშინ ხდება ამპლიტუდის გაძლიერება. აქ  $\lambda$  არის ტალღის სიგრძე. დავუშვათ:

$$\cos \theta \neq \frac{1}{\beta n} \quad (2.2)$$


მაშინ  $AB$  მონაკვეთი ყოველთვის შეიძლება ავირჩიოთ ისე, რომ შესრულდეს  $\Delta l = \frac{\lambda}{2}$  და მოცემული მიმართულებით სინათლე აღარ გავრცელდება. ითვლება, რომ ნაწილაკის ტრაექტორია არის საკმარისად გრძელი, რაც ნიშნავს, რომ ტრაექტორიის შემოსაზღვრულობასთან დაკავშირებული ეფექტები უგულვებელყოფილია. ე.ი. მხოლოდ  $\theta$  კუთხით გამოსხივებული ტალღებს, რომლებიც განისაზღვრება პირობით:

$$\cos \theta = \frac{1}{\beta n} \quad (2.3)$$

ყოველთვის ექნებათ ნულოვანი სვლათა სხვაობა, დამოუკიდებლად გამოსხივების წერტილისგან. რადგანაც  $\cos \theta \leq 1$ , ამიტომ  $\beta n \geq 1$ , ან რაც იგივეა

$$v \geq \frac{c}{n}$$

რომელსაც აქვს სინათლის სიჩქარეზე მეტი სიჩქარე და თანაც მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელიც აკმაყოფილებს (2.3) პირობას. ჩერენკოვოს გამოსხივების გეომეტრიული ინტერპრეტაცია ნაჩვენებია სურ. 2.2-ზე.




სურათი 2.2. ჩერენკოვის გამოსხივების გეომეტრია, (დისპერსიის გარეშე)

## 2.2 KM3NeT ექსპერიმენტი

KM3NeT წარმოადგენს ახალი თაობის ნეიტრინული დეტექტორების ერთობლიობას, რომელთა მიზანია კვლევები ნეიტრინულ ფიზიკასა და ასტროფიზიკაში. პროექტის ფარგლებში ასტროფიზიკური კვლევების ჩატარება დაგეგმილია KM3NeT/ARCA (Astroparticle Research with Cosmics in Abyss) დეტექტორის საშუალებით, რომელიც შენდება ((Aiello et al., 2020) 3500 მეტრის სიღრმეზე, სიცილიის (იტალია) სანაპიროდან (ქ. პორტო-პალო დი კაპო პასერო)


დაახლოებით 100 კმ მანძილზე. KM3NeT/ARCA ოპტიმიზირებულია მაღალი ენერგიების (100 გევ-ზე მეტი) ასტროფიზიკური ნეიტრინოების დაკვირვებისთვის. ზოლო მეორე დეტექტორი - KM3NeT/ORCA (Oscillation Research with Cosmics in Abyss) საფრანგეთის სანაპიროზეა განლაგებული ქ. ტულონთან, 40კმ მანძილზე და 2500 მეტრის სიღრმეზე. მისი მთავარი მიზანია 100 გევ ენერგიებამდე ატმოსფერული ნეიტრინოების დამზერა. დეტექტორების მშენებლობა მიმდინარეობს ხმელთაშუა ზღვის ღრმა წყლებში. მათი დანიშნულებაა გახსნან ახალი ფანჯარა სამყაროს შესასწავლად და წვლილი შეიტანონ ნეიტრინოების თვისებების განსაზღვრაში. KM3NeT თანამშრომლობაში წარმოდგენილია 18 ქვეყნის 57 ინსტიტუტი და ჯგუფი, მათ შორის, საქართველოდან - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სურათი 2.3).



სურ. 2.3. KM3NeT კოლაბორაცია. წითლად აღნიშნულია კოლაბორაციის წევრი ქვეყნები, ყვითლად დეტექტორების ლოკაციები, ხოლო ვარდისფრად ქვეყნები, რომლებსაც აქვთ დამკვირვებლის სტატუსი.


ARCA და ORCA დეტექტორები შედგებიან ოპტიკური მოდულებისაგან (Digital Optical Module) (Aiello, Albert, Alshamsi, et al., 2022), რომლებიც აღწერილია ნაშრომის შემდეგ თავში. ორივე ტელესკოპი იდენტური დიზაინისაა, ერთადერთი განსხვავება მათი შემადგენელი ოპტიკური მოდულების სივრცული

განლაგების სიმკვრივეა. 18 DOM-ი იწყობა ვერტიკალურ ხაზზე, რომელსაც DU ეწოდება. 115 ასეთი DU-ს ერთობლიობა წარმოადგენს ერთ ბლოკს (BB). საბოლოო კონფიგურაციის მიღწევისას ARCA-ში იქნება ორი, ხოლო ORCA-ში ერთი ასეთი ბლოკი. ARCA და ORCA დეტექტორების DOM-ებს შორის ვერტიკალური მანძილი შესაბამისად 36 და 9 მეტრს წარმოადგენს. ხოლო ჰორიზონტალური მანძილი თითოეულ ხაზს შორის ARCA-ს შემთხვევაში საშუალოდ 90, ხოლო ORCA-სთვის 20 მეტრია. KM3NeT ნეიტრინული ტელესკოპის ილუსტრაცია ნაჩვენებია სურ. 2.4-ზე.



სურათი 2.4. KM3NeT დეტექტორის ილუსტრაცია. ოპტიკური მოდულები (სფეროები) განლაგებულია დეტექტორის ხაზებზე, რომლებიც ვერტიკალურ მდგომარეობას ხაზის ბოლოს მოთავსებული ტივტივას საშუალებით ინარჩუნებენ (ყვითელი ცილინდრები).

KM3NeT პროექტის ARCA და ORCA ტელესკოპების დეტექციის თითო ერთეული, ზომები და შემადგენელი ნაწილები მოცემულია სურათზე 2.5.



სურათი 2.5 მარცხნივ: KM3NeT ARCA და ORCA ტელესკოპების დეტექციის ერთეულები.

ARCA და ORCA ტელესკოპების პარამეტრები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილი 2.1-ში:


Detector	Depth	Horizontal spacing	Vertical spacing	Detection unit	Volume
ARCA	3500 m	90 m	36 m	2 x 115	1 km <sup>3</sup>
ORCA	2500 m	20 m	9 m	115	~0.005 km <sup>3</sup>

ცხრილი 2.1. KM3NeT ARCA და ORCA ტელესკოპების პარამეტრები

აღნიშნულ ტელესკოპებში ნეიტრინოების აღდგენა მსგავსი მეთოდებით ხორციელდება. ნეიტრინოების ზღვის ნივთიერებასთან ურთიერთქმედებისას წარმოიქმნება დამუხტული ნაწილაკები, რომელთა გავრცელების სიჩქარე გარემოში აღემატება სინათლის გავრცელების სიჩქარეს ამავე გარემოში. ისინი ინვევენ ჩერენკოვის გამოსხივებას, რომლის რეგისტრაცია შესაძლებელია



მაღალი მგრძობიარობის მქონე ფოტოსენსორებით. ფოტოდეტექტორების შერჩეული განლაგება და ჩერენკოვის ფოტონების რეგისტრაციის დროის მაღალი სიზუსტით დაფიქსირება საშუალებას გვაძლევს დამუხტული ნაწილაკების მიმართულება აღვადგინოთ (გარკვეული სიზუსტით). განსაკუთრებით კარგად აღდგება მაღალი ენერგიების მიუონები, რადგან ისინი ახერხებენ დიდი მანძილის დაფარვას ზღვის წყალში. მიუონის განარბენი, ჩერენკოვის გამოსხივება და ოპტიკური მოდულები, რომლებმაც დააფიქსირეს სიგნალი, წარმოდგენილია სურ. 2.6-ზე.




სურათი 2.6. ORCA6-ში (ORCA დეტექტორის ექვსხაზიანი კონფიგურაცია) მიუონური შემთხვევის მაგალითი. ვერტიკალური წრფით ნაჩვენებია მიუონის განარბენი, ცისფერი

არე აჩვენებს ჩერენკოვის გამოსხივებას. ოპტიკური მოდულების ფერები შეესაბამება სიგნალის დაფიქსირების დროს. ფერებით ნაჩვენებია სიგნალების დროში ქრონოლოგიური განაწილება წითლიდან იისფრამდე.

KM3NeT ტელესკოპში ტექნიკურ სიახლეს წარმოადგენს მრავალი ფოტო-დეტექტორის გაერთიანება ერთ ოპტიკურ მოდულში. ოპტიკური მოდულის მახასიათებლები - ფოტოსენსორების განლაგება და ორიენტაცია, ჩერენკოვის ფოტონების მოსვლის დროის გამომვასთან ერთად გვადლევს საკმარის ინფორმაციას ნაწილაკის ტრაექტორიის აღსადგენად. ინდივიდუალური ოპტიკური მოდულით ჩერენკოვის ფოტონების მიმართულების აღდგენის შესაძლებლობა თუნდაც შებლუდული სიზუსტით, KM3NeT დეტექტორს განასხვავებს სხვა ნეიტრინული ტელესკოპებისგან. ამ დამატებითმა ინფორმაციამ უნდა გაზარდოს ნაწილაკთა მიმართულების აღდგენის სიზუსტე.


### 2.3 ARCA და ORCA ტელესკოპების მშენებლობის სტატუსი

ARCA-ს და ORCA-ს ზღვის უბნების ფსკერზე შენდება ელექტრო-ოპტიკური კაბელების ქსელები და შეერთების ყუთები, რომლებიც დაკავშირებულია ხმელეთზე მართვის სადგურთან. ტელესკოპის მდებარეობები ნაჩვენებია სურ. 2.7-ზე.




სურათი 2.7. ტელესკოპების მდებარეობები. მარცხნივ - ORCA, მარჯვნივ - ARCA

ორივე, ARCA და ORCA, უბანი წარმოადგენს კვანძებს საზღვაო მეცნიერებებთან დაკავშირებული კვლევებისათვის. ARCA ოპტიკური მოდულების მასივი თანდათან შენდება და უკავშირდება შეერთების ყუთებს ზღვის ფსკერზე, დაახლოებით 3500 მ სიღრმეზე, პორტოპალო დი კაპო პასეროს სანაპიროდან დაახლოებით 90 კილომეტრში, სიცილია (იტალია). მასივის კონფიგურაცია ოპტიმიზირებულია კოსმოსური წყაროებიდან მაღალი ენერჯის ნეიტრინოების აღდგენისათვის. ARCA-ს მიზნობრივი ინსტრუმენტული მოცულობა არის დაახლოებით ერთი კუბური კილომეტრი, შემდგომი ზრდის შესაძლებლობით. ოპტიკური მოდულები განაწილებულია ზღვის წყლის მოცულობაში, დაახლოებით 90 მ საშუალო ჰორიზონტალური და 36 მ ვერტიკალური დაშორებით. ყველაზე დაბალი მოდულები განლაგებულია ზღვის ფსკერიდან დაახლოებით 70 მ სიმაღლეზე. 2023 წლის ივლისში დამონტაჟებულია ARCA დეტექტორის დეტექციის 21 ერთეული 378 მოდულით და მიმდინარეობს შემდეგი ხაზების მშენებლობა. მიზანია 4100-ზე მეტი მოდულის დაყენება 230 ხაზზე. პარალელურად, ORCA დეტექტორის მასივი შენდება ტულონის (საფრანგეთი) სანაპიროდან 40 კილომეტრში, დაახლოებით 2500 მ სიღრმეზე. ORCA-ს კონფიგურაცია ოპტიმიზირებულია ნეიტრინოს ოსცილაციების შესასწავლად კოსმოსური სხივების ატმოსფეროსთან ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი ნეიტრინოების საშუალებით. მისი ოპტიკური მოდულების მასივი მოიცავს ზღვის წყლის მოცულობას დაახლოებით 5 მეგატონას, მოდულებს შორის არის ჰორიზონტალური დაახლოებით 20 მ და ვერტიკალური დაშორება დაახლოებით 9 მ. 2023 წლის ივლისის მონაცემებით ზღვის სიღრმეში განლაგებულია 324 ოპტიკური მოდული, რომლებიც ინტეგრირებულია 18 DU-ზე. ARCA-ს მსგავსად, ოპტიკური მოდულებისა და დეტექციის ერთეულების აწყობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ORCA მიზნად ისახავს 2000-ზე მეტი ოპტიკური მოდულის დაყენებას 115 ხაზზე. ზღვის წყალში დამონტაჟებული დეტექციის ერთეულების რაოდენობის დროში ზრდა და მიმდინარე სტატუსი ილუსტრირებულია სურ. 2.8-ზე.



სურათი 2.8. დეტექციის ერთეულების ზღვის სიღრმეზე განლაგების ისტორია და მიმდინარე სტატუსი.

არსებული გეგმის მიხედვით (იხ. სურათი 2.9), ARCA ტელესკოპის მშენებლობა უნდა დასრულდეს 2027 წლის მიწურულს. ამის შემდეგ, KM3NeT თანამშრომლობის ადამიანური და ტექნიკური რესურსები სრულად გადაერთვება ORCA-ს მშენებლობაზე და გაერთიანებული ძალებით შეძლებენ დეტექტორის სრული კონფიგურაციის გამზადებასა და ზღვის სიღრმეში განლაგებას.



სურათი 2.9. KM3NeT ARCA და ORCA ტელესკოპების მშენებლობის გეგმა

## 2.4 KM3NeT ოპტიკური მოდული

ANTARES წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვაში პირველ ტელესკოპს, რომელმაც აჩვენა ღრმა ზღვაში ნეიტრინული ტელესკოპის მუშაობის მიზანშეწონილობა (ANTARES Collaboration, 2011). შემდეგი თაობის, ახალი ტექნიკური დიზაინის KM3NeT ტელესკოპი სარგებლობს ANTARES-ის მუშაობის 15 წლიანი გამოცდილებით. დიზაინის დასაწყისში ჩამოყალიბდა რამდენიმე მოთხოვნა ANTARES-ის შეფასების შემდეგ.


სამეცნიერო თვალსაზრისით, KM3NeT-ის მოთხოვნები იყო გევ-დან პევ-მდე ენერგიების მქონე ნეიტრინოების ეფექტური დაფიქსირება მაღალი კუთხური გარჩევადობით, მინიმუმ 15 წლის ფუნქციონირების პერიოდის განმავლობაში. ტექნიკური თვალსაზრისით კი, შესაბამისი საკვლევი მიზნებისთვის ნეიტრინოების მცირე ურთიერთქმედების კვებითა და ნეიტრინული ნაკადების გათვალისწინებით ORCA-სთვის საჭიროა ზღვის წყლის რამდენიმე მეგატონა მოცულობა, ხოლო დაახლოებით ერთი გიგატონა ARCA-სთვის.

440 ნმ ტალღის სიგრძის ფოტონებისთვის გრძელი შთანთქმის სიგრძე, რომელიც წარმოადგენს 70 მეტრს, ოპტიკური მოდულების მეჩხერად განლაგების საშუალებას იძლევა. ოპტიკური ფოტონების გაბნევის დაბალი ალბათობის გათვალისწინებით (ზღვის წყალში ცისფერი სინათლისთვის გაბნევის საშუალო სიგრძე 100 მ-ზე მეტია) შესაძლებელია განისაზღვროს ფოტონების საწყისი მიმართულება, ამასთან სიგნალის დაფიქსირება ნანონამიანი სიზუსტით ხდება.

ხარჯების ეფექტურობა და მასშტაბურობა მნიშვნელოვანი პარამეტრია KM3NeT ტელესკოპის საბოლოო რეალიზაციისთვის. დანახარჯების ეფექტურობის გასაზრდელად გადაწყდა რაც შეიძლება მეტი აქამდე არსებული კომპონენტების გამოყენება, რომელთა შეთავაზებაც კომპანიებს შეეძლოთ კონკურენტულ ფასებში. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც კომპანიებს არ შეეძლოთ პროდუქციის ხელმისაწვდომ ფასებში მიწოდება ან ვერ იძლეოდნენ წარმოების უწყვეტობის გარანტიას, გამოიყენებოდა პერსონალურად შემუშავებული ტექნიკური გადაწყვეტილებები. ასეთი გადაწყვეტილებები ასევე ხელმისაწვდომი გახდა კომპანიებისთვის მათ პორტფოლიოში გამოსაყენებლად. ოპტიკური მოდულების დიდი რაოდენობის წარმოების მასშტაბურობასა და ხარისხის კონტროლს ხელს უწყობს მოდულების ერთგვაროვნება, რაც

საშუალებას იძლევა მოდულის აწყობა და ხარისხის კონტროლი განხორციელდეს სხვადასხვა ინსტიტუტში.


დიზაინის შექმნის ფაზის დაწყებისას მალევე დადასტურდა, რომ ფოტოდეტექტირებისთვის ფოტოგამამრავლებლების (PMT-ების) გამოყენება კვლავ ყველაზე ეფექტური ვარიანტი იყო. ასევე გადაწყდა ზღვის მეცნიერებების კვლევისთვის დამახასიათებელი სტანდარტული მინის წნევაგამძლე სფეროების გამოყენება, რომელიც მიიჩნევა ყველაზე საიმედო გამჭვირვალე კონტეინერებად. სფეროს მინა იცავს მგრძობიარე ალტურვილობას მარილიან წყალში მაღალი წნევის გარემო პირობებისგან, რაც უზრუნველყოფს მაღალ საიმედოობას გრძელვადიანი უწყვეტი მუშაობისთვის.




სურათი 2.10. ოპტიკური მოდულები სხვადასხვა ნეიტრინულ ტელესკოპში.

ტრადიციულად, ნეიტრინულ ტელესკოპებში სინათლის დასაფიქსირებლად ხდებოდა გამჭვირვალე მინის სფეროების ალტურვა ერთი დიდი

ფართობის ფოტოგამრავლებლით, დიამეტრით 8-დან 10 დიუმამდე. სხვადასხვა ნეიტრინული ტელესკოპის ოპტიკური მოდულები ნაჩვენებია სურ. 2.10-ზე. KM3NeT ოპტიკური მოდულის დიზაინის პირობებში კი მინის სფერო აღჭურვილია 31 ცალი 3 დიუმიანი ფოტოკათოდური PMT-ების (Aiello et al., 2018) ნაკრებით. მათ გააჩნიათ დაახლოებით იგივე ფოტოკათოდური ფართობით, როგორც სამ 10 დიუმან PMT-ს. აღნიშნული ფოტოსენსორი წარმოდგენილია სურ. 2.11-ზე.



სურათი 2.11. KM3NeT ექსპერიმენტში გამოყენებული ფოტოგამამრავლებელი ამ ფოტოსენსორის კვანტური ეფექტურობის დამოკიდებულება ფოტონის ტალღის სიგრძეზე მოცემულია სურ. 2.12-ზე. თითოეულ ფოტოსენსორზე სიგნალები ინდივიდუალურად მუშავდება. ეს კონცეფცია შემოთავაზებული იქნა ჯერ კიდევ 2003 წელს (Flykt, 2003) და შემდგომ დადასტურდა როგორც ტექნიკურად განხორციელებლად და მიზანშეწონილად. ფოტოკათოდის ფართობის სეგმენტაცია უზრუნველყოფს თითოეულ ოპტიკურ მოდულის მგრძობელობას დაფიქსირებული ფოტონების მიმართულების მიმართ და, ნანონამიანი დროის სიზუსტესთან ერთად, წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს ფონის შემცირებისთვის, რომელიც გამოწვეულია ზღვის წყალში  $^{40}\text{K}$  რადიოაქტიური დაშლებითა და ბიოლუმინესცენციით. სეგმენტაცია ასევე საშუალებას იძლევა მოდულზე შემოსული ფოტონების დათვლას, რაც არ არის მარტივი ერთი დიდი PMT-ის შემთხვევაში. გარდა ამისა, ინდივიდუალური PMT-ის წყობიდან გამოსვლის შემთხვევაში ტელესკოპის მუშაობაზე გავლენა მცირდება, რადგან მოდულის ეფექტურად მუშაობა მაინც შესაძლებელია ნაკლები PMT-ებით.



სურათი

## 2.12. ექსპერიმენტში გამოყენებული ფოტოგამამრავლებლის კვანტური ეფექტურობა

ელექტრონიკისა და მონაცემთა მიღების ჯაჭვის დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს თითოეულ PMT-ზე სიგნალების დიდ სიხშირეს  $\sim 8$  kHz-ს, რაც გამოწვეულია  $^{40}\text{K}$ -ის რადიოაქტიური დაშლითა და ზღვის წყალში ბიოლუმინესცენციით. იმისათვის, რომ სიგნალი ფონიდან გამოიყოს, ინფორმაცია ყველა დეტექტირებული ფოტონისთვის იგზავნება ხმელეთზე კონტროლის სადგურზე შემდგომი რთული ალგორითმების ასამუშავებლად. PMT დან წამოსული თითოეული სიგნალი მოიცავს მხოლოდ ფოტონის მოხვედრის დროსა და იმპულსის სიგანეს (time over threshold - ToT). სიგნალების ჩაწერა ხდება ნანონამიანი სიზუსტით, რომელთა ცდომილება მერყეობს 1,5-3 ნანონამიან ინტერვალში, რაც დამოკიდებულია კონკრეტული ფოტოსენსორის მახასიათებლებზე.

ტელესკოპის დიზაინის შემუშავებისას მნიშვნელოვანი მექანიკური მოთხოვნა იყო ტელესკოპში ელექტრო-ოპტიკური შეერთების წერტილების მინიმუმამდე დაყვანა წყლის გაჟონვის რისკის შესამცირებლად. მინის სფეროში PMT-ების, საკალიბრო მოწყობილობებისა და სხვა ელექტრული კომპონენტების ერთად მოთავსებით, ტელესკოპში აღნიშნული წერტილების რაოდენობა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს ANTARES-თან შედარებით.


საბოლოოდ, მოწინავე ელექტრონიკით, შორ მანძილზე კომუნიკაციისთვის ოპტიკური გადაწყვეტილებებით და კალიბრაციის მოწყობილობებით აღჭურვილი მრავალფოტოსენსორიანი ოპტიკური მოდულის დიზაინის უპირატესობები KM3NeT ტელესკოპისთვის მრავალფეროვანია:



- ფოტოკათოდების ჯამური ფართობი 1300 სმ<sup>2</sup>-ია, რაც ერთ 10 დიუმიან ფოტოკათოდის ფართობზე დაახლოებით სამჯერ მეტია. ოპტიკური მოდულის ასეთი დიზაინი საშუალებას იძლევა სამუშაო მოცულობაში მათი შედარებით დაბალი სიმჭირდოვით განლაგებისა;
- ტელესკოპის კორიზონტს ბემოთ თითქმის ერთგვაროვანი და გაფართოებული კუთხოვანი ეფექტურობა;
- დეტექტირებული ფოტონების მიმართულების განსაზღვრა;
- ფოტონთა დათვლის შესაძლებლობა;
- პოზიციისა და დროის მაღალეფექტური კალიბრაცია;
- ფოტოგამამრავლებლების სიგნალების განაწილების მიხედვით ლოკალური ტრიგერების განსაზღვრის შესაძლებლობა;
- დეტექტორის კომპონენტების ერთგვაროვნება, რაც ამარტივებს მათ წარმოებასა და მიღებული მონაცემების ანალიზს.

ARCA და ORCA ტელესკოპების მაღალ სიზუსტესა და მგრძობიარობას განაპირობებს შემდეგი მახასიათებლების კომბინაცია: 1) ფოტოგამამრავლებლების მიერ სიგნალების ნანონამიანი სიზუსტით ჩანერა; 2) ოპტიკური მოდულის პოზიციის 10სმ იანი სიზუსტით გაზომვა; 3) ფოტოსენსორებზე დაფიქსირებული სიგნალთა რაოდენობით ფოტონთა ნაკადის შეფასება; 4) დაფიქსირებული ფოტონების მიმართულების განსაზღვრა. ყველაფერი ერთად, ARCA-ს შემთხვევაში განაპირობებს მედიანური 0,1 (0,055) გრადუსის კუთხურ გარჩევისუნარიანობას 10 ტევ (10 პევ) მიუონის ტრეკებისათვის და 2 გრადუსზე უკეთეს გარჩევისუნარიანობას 100 TeV-ზე მეტი ელექტრომაგნიტური კასკადებისთვის. ამასთან ენერგიის გარჩევადობა შეადგენს დაახლოებით 30%-ს ტრეკებისათვის და 5%-ს კასკადებისთვის 100 ტევ ენერგიაზე (Melis et al., 2017). ხოლო ORCA-ს შემთხვევაში 3 წლის მონაცემებით შესაძლებელი იქნება განისაზღვროს ნეიტრინოების მასური იერარქია 4,4 $\sigma$  საიმედოობით ნორმალური ან 2,3 $\sigma$  საიმედოობით შებრუნებული მასური იერარქიისთვის (Aiello, Albert, Garre, et al., 2022).

ზემოთ აღწერილი მოთხოვნების გათვალისწინებით, შეირჩა მინის 0.44 მ დიამეტრის მინის სფერო, რომელშიც მჭიდროდ არის განლაგებული 31 ფოტოგამამრავლებელი, მცირე მონყობილობები პოზიციისა და დროის კალიბრაციისთვის, და ელექტრული კვებისა და მონაცემთა ურთიერთ-გაცვლისთვის საჭირო ელექტრული კომპონენტები. ოპტიკური მოდულის თითოეული ნაწილი ისე შეირჩა, რომ ელექტროენერჯის მოხმარება მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი. შედეგად, თითოეული მოდულის მოხმარება შეადგენს 7 ვატს, რაც ბევრად მცირეა ვიდრე გაგრილების მაქსიმალური თბოგაცემის უნარი – 10 ვატი. სურ. 2.13-ზე ნაჩვენებია ოპტიკურ მოდულებში გაზომილი ტენიანობა და ტემპერატურა.



სურათი 2.13. მარცხნივ – ფარდობითი ტენიანობა ოპტიკურ მოდულში; მარჯვნივ – ტემპერატურა ოპტიკურ მოდულში



სურათი 2.14. მარცხნივ ოპტიკური მოდულის ფოტო. მარჯვნივ დეტექციის ერთეულზე დამონტაჟებული ოპტიკური მოდულის კომპიუტერული გრაფიკული სურათი

ილუსტრაციისთვის სურ. 2.14-ზე წარმოდგენილია აწყობილი ოპტიკური მოდულის ფოტო და ტელესკოპის ხაზზე განთავსებული ერთი ოპტიკური მოდულის კომპიუტერული გრაფიკა. ოპტიკური მოდულისთვის შერჩეული ძირითადი კომპონენტები კი ნაჩვენებია სურ. 2.15-ზე.



სურათი 2.15. KM3NeT ოპტიკურ მოდულის შემადგენელი კომპონენტები

სურათზე 2.15 წარმოდგენილი ოპტიკური მოდულის კომპონენტების სია ნუმერაციის მიხედვით:

- 1) კომპონენტების ზედა ჩარჩო;
- 2) კომპონენტების ქვედა ჩარჩო;
- 3) მინის ნახევარსფერო (ქვედა);

- 4) ქვედა ჩარჩო, რომელშიც ჩამონტაჟებულია ფოტოგამამრავლებლები და სინათლის ამრეკლი რგოლები;
- 5) ოპტიკური კაბელების მიმმართველი;
- 6) რადიატორი და საყრდენი სვეტი;
- 7) ელექტრული კვების დაფა;
- 8) ცენტრალური ლოგიკური დაფა (CLB);
- 9) 3 ფოტოგამამრავლებელი შესაბამისი დაფითა და ამრეკლი რგოლებით;
- 10) მანომეტრი;
- 11) სიგნალის ები ორი დაფა;
- 12) ციმციმა შექდიოდი (ნანოშუქურა) მართვის დაფით;
- 13) პენეტრატორი (მარცხნივ) და პენეტრატორი კაბელებითა და კაბელების დროებითი მიმართველით (მარჯვნივ);
- 14) პიემო ჰიდროფონი;
- 15) ლაზერული ტრანსივერი.


KM3NeT ტელესკოპისთვის 6000-ზე მეტი ოპტიკური მოდულის წარმოებისთვის შეიქმნა წარმოების დანაწილებული მოდელი. KM3NeT კოლაბორაციის მიერ მოთხოვნილი საბაზისო წარმოების სიჩქარის მისაღწევად ინტეგრაციის პროცედურა სტანდარტიზებულია და მოიცავს ზომიერი ზომის ლაბორატორიულ სივრცეს, ბნელ ყუთს (ან ბნელ ოთახს), შედარებით იაფი აღჭურვილობას და მცირე პერსონალს. ამგვარად, მრავალი ინსტიტუტი და ჯგუფი მონაწილეობს ტელესკოპის მშენებლობაში. ეს ჩართულობა ზრდის მათ ხილვადობას კოლაბორაციაში. დადებით მხარეებთან ერთად, ასევე აღსანიშნავია დანაწილებული წარმოების მოდელის გამოწვევები. ოპტიკური კომპონენტების შესყიდვა და გადაზიდვა სხვადასხვა მიმართულებით რთულია, განსაკუთრებით რეგიონული ფონდების გათვალისწინებით, რომლებიც გამოყოფილია KM3NeT კოლაბორაციისთვის. გარდა ამისა, საჭიროა ხარისხის

კონტროლის ძალიან მაღალი დონე, რათა სხვადასხვა ჯგუფის მიერ წარმოებული მოდულებისთვის უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა KM3Net ხარისხის სტანდარტებთან. დელიკატური კომპონენტების ერთობლიობისგან ოპტიკური მოდულის აწყობა მოითხოვს მკაცრ პროტოკოლს. მოდულის თითოეული ნახევარსფერო ივსება კომპონენტებით ქვემოდან ზევით, ანუ მინის ნახევარსფეროს ამოზნექილი მხარე ქვემოთაა მიმართული, რაც მის შიგნით წვდომის საშუალებას იძლევა. ასე გრძელდება პროცესი მანამ, სანამ ორივე ნახევარსფერო არ შეივსება, შეერთდება და გამოიცდება. ოპტიკური მოდულის დახურვისა და მინის სფეროს გარშემო ტიტანის გარე სტრუქტურის განთავსების შემდეგ, ოპტიკური მოდული მზად არის ტელესკოპის ვერტიკალურ ხაზზე განთავსებისთვის.

ნახევარსფეროების აღჭურვა იწყება იმ კომპონენტებით, რომლებიც უნდა მიწებდეს მინაზე. ზედა ნახევარსფეროში ეს არის ალუმინის საყრდენი და რადიატორი; ქვედა ნახევარსფეროში კი აკუსტიკური პიეზო სენსორი. ელექტრული კვებისა და ცენტრალური ლოგიკური დაფა, ასევე ელექტრომაგნიტური დამცავი ფირფიტა პენეტრატორთან ერთად მონტაჟდება ალუმინის გარსზე ზედა ნახევარსფეროში პენეტრატორთან ერთად. შემდეგ ჰელიუმის გაჟონვის ტესტი აფასებს პენეტრატორის მონტაჟის ხარისხს.

ოპტიკური მოდულების აწყობის პროცესი ნაჩვენებია სურ. 2.16-ზე. სპილენძის მავთულები პენეტრატორიდან უკავშირდება კვების ელექტრულ დაფას და ოპტიკური ბოჭკო დაკავშირებულია ფილტრთან რომელიც მიერთებულია ლაზერულ ტრანსივერზე. სურ. 2.16A-ზე ნაჩვენებია აღნიშნული პროცესების განხორციელებით მიღებული შედეგი. ტარდება სატესტო ჩართვა იმის შესამოწმებლად, რომ ელექტრული დაფები კარგად არის დამონტაჟებული და ფუნქციონირებს. ნანომუქურის და მანომეტრის დაყენების შემდეგ, ჩარჩოებში თავსდება ფოტოგამამრავლებლები და მონტაჟდება სინათლის შემგროვებელი რგოლები (იხ. სურათი 2.16B). კაბელები ფოტოსენსორებიდან, პიეზო სენსორიდან და ნანომუქურადაც უკავშირდება ელექტრულ დაფებს. ფუნქციური ტესტი სრულდება ორი ნახევრის შეერთებით სპეციალური კაბელის საშუალებით, როგორც ნაჩვენებია სურათზე 2.16C. ფუნქციური ტესტი არის ბოლო შემოწმება და გაუმართავი კომპონენტების შეცვლის ბოლო შანსი. ამის შემდეგ, ინტეგრაცია განახლდება ოპტიკური გელის ჩამოსხმით ფოტოგამამრავლებლის დამჭერ

სტრუქტურებსა და მინის შიდა ზედაპირს შორის სივრცის შესავსებად. გელის “ჩამოსხმის სადგური” რომელზეც მომზადებულია ორი ქვედა და ორი ზედა ნახევარსფეროს კომპლექტი, ნაჩვენებია სურათზე 2.16D. მინის კონტაქტის ზედაპირების განმედიის შემდეგ, ოპტიკური მოდული იხურება და ილუქება. ოპერაცია ხორციელდება ქვედა ნახევარსფეროების ერთმანეთთან სპეციალური ხელსაწყოთა გამოყენებით მიერთებით, რომელიც იძლევა ნახევარსფეროს ბრუნვის საშუალებას. სურათზე 2.16E ნაჩვენებია დახურვის სადგურზე დამონტაჟებული ქვედა და ზედა ნახევარსფერო.



სურათი 2.16. KM3NeT ოპტიკური მოდულის აწყობის ეტაპები


პროცესის დროს, როდესაც ორი ნახევარსფერო შესაბამის სიახლოვესაა, ცენტრალურ ლოგიკურ დაფაზე აერთებენ „ოქტოპუს“ (octopus) დაფას. მცირე ზამბარების დაყენების შემდეგ, რომლებიც აკავშირებენ ზედა და ქვედა სტრუქტურებს, ორი ნახევარსფერო მჭიდრო კონტაქტში მოდის. შემდეგ ზედა ნახევარსფეროზე არსებული სარქველის საშუალებით ამოუტუმბება ჰაერი.

საბოლოოდ კი ოპტიკური მოდულის ეკვატორზე ორ ნახევარსფეროს შორის კონტაქტის ადგილი ილუქება. ოპტიკური მოდულის აწყობა სრულდება ტიტანის გარე სარტყელის დამონტაჟებით. საბოლოო ტესტი ტარდება ოპტიკური მოდულის ბნელ ყუთში ან ბნელ ოთახში მოთავსებით, რათა მოხდეს ჩართონ ფოტოსენსორები; ასეთი ტესტის დროს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით მიიღება გადაწყვეტილება ოპტიკური მოდულის გამართულობასთან დაკავშირებით. ასევე ხდება აწყობილი ოპტიკური მოდულის პირველი დაკალიბრება. მოდულის შავი ყუთი ოთხი ოპტიკური მოდულის ტევადობით ნაჩვენებია სურათზე 2.16F.

ნეიტრინული წყალქვეშა ტელესკოპის მიერ ფიზიკური კვლევების ჩატარების წარმადობის გაუმჯობესების პოტენციალი, რომელიც დაფუძნებულია KM3NeT მრავალფოტოგამამრავლებლიანი ოპტიკური მოდულის დიზაინზე, დადასტურდა ადრეული ეტაპის კვლევებისას, ასევე ARCA-სა და ORCA-ს პირველი ხაზების მუშაობის დროს. ოპტიკური მოდულების მიერ მიღებული მონაცემები უკვე გამოყენებულია მულტისენსორული მოდულების წარმადობის საილუსტრაციოდ. ოპტიკურ მოდულებზე სიგნალის მრავალჯერადი თანხვედრების სიხშირე უწყვეტად კონტროლდება და ავლენს გამეორებითობას. ინდივიდუალური ოპტიკური მოდულით, მრავალსენსორიანი თანხვედრების გამოყენებით ატმოსფერული მიონების სიგნალი შეიძლება განვასხვავოთ ფონიდან, რომელიც წარმოიქმნება  $^{40}\text{K}$  დაშლისა და ბიოლუმინესცენციის შედეგად (KM3NeT Collaboration et al., 2016). ამ მეთოდის ილუსტრაცია ჩანს სურათზე 2.17. ის გვიჩვენებს ერთ ხაზზე განლაგებული სამი ოპტიკური მოდულისთვის თანხვედრების სიხშირის დამოკიდებულებას თანხვედრათა რაოდენობაზე (მაქსიმუმ 31 ერთ ოპტიკურ მოდულში). თითოეული მოდულისთვის მითითებულია მოდელირებული სრული სიხშირე („FULL MC“), რომელიც მოიცავს  $^{40}\text{K}$  დაშლის, ბიოლუმინესცენციისა და ატმოსფერული მიონებისგან წარმოქმნილ სინათლეს. ატმოსფერული მიონების წვლილი მითითებულია ცალკე („Muon MC“). საბოლოო ჯამში, აღნიშნული სურათი 2.17 ასახავს მრავალსენსორიანი ოპტიკური მოდულის შესაძლებლობას, გამოყოს მიუონები ფონიდან. მაღალი მრავლობითობის თანხვედრები საშუალებას იძლევა გაიზომოს ატმოსფერული მიუონების ნაკადის სიღრმეზე დამოკიდებულება (Ageron et al., 2020), ხოლო თანხვედრების ნაკლები რაოდენობა, რომლებიც წარმოიქმნება ცალკეული  $^{40}\text{K}$  დაშლისგან, გამოიყენება ცალკეული




ფოტოგამამრავლებლების დროითი კალიბრაციისას და მათი კვანტური ეფექტურობის დასაზუსტებლად. ORCA-ს პირველი ექვსი ხაზის მონაცემების გამოყენებით, ნაჩვენებია რეალურ დროში სუპერნოვას დაფიქსირების პოტენციალი, რომელიც დაფუძნებულია მაღალი სიმრავლის თანხვედრათა ჭარბ რაოდენობაზე (KM3NeT Collaboration et al., 2021).



სურათი 2.17. თანხვედრი სიგნალების განაწილება ოპტიკურ მოდულებში

მრავალი ფოტონის მიმართ PMT-ების ToT მახასიათებელი შესწავლილია ლაბორატორიულ გაზომვებში. ერთი ფოტოელექტრული სიგნალის მიერ გამოწვეული ToT მნიშვნელობების განაწილების ფორმა აღწერილია ანალიტიკური მოდელით, დაფიქსირებულია მონაცემებზე, რომლის დროსაც ფოტოგამამრავლებლის გამრავლების კოეფიციენტი და ამ კოეფიციენტის გაბნევა გამოყენებულია თავისუფალ პარამეტრებად. აღნიშნული მოდელით შესაძლებელია PMT-ს გაძლიერების კოეფიციენტის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ძაბვის ცვლილებით.

KM3NeT ექსპერიმენტში გამოყენებული ფოტოგამამრავლებლების ToT გამოდახილის განაწილებები მოყვანილია სურათზე 2.18.



სურათი 2.18. გემოთ მარცხნივ - იმპულსის სიგანე (Time over Theshold). შავი მრუდით ნაჩვენებია ToT განაწილება ფოტოელექტრონთა ზრდადი რაოდენობისათვის, დაწყებული 1-დან. წითელი მრუდით ნაჩვენებია ჯამური ფიტირების შედეგი. გემოთ მარჯვნივ - ToT განაწილება სხვადასხვა ძაბვისთვის (შავი განაწილება შეესაბამება -1130 ვოლტს, ხოლო წითელი - -1180 ვოლტს) ერთი ფოტოელექტრონის შემთხვევაში. ქვემოთ ToT-ის სიდიდის დამოკიდებულება ფოტოელექტრონების რაოდენობაზე.

სხვადასხვა ოპტიკურ მოდულს შორის დროის გადახრები შესაძლოა დარეგულირდეს სიგნალების კორელაციების გამოყენებით, რომლებიც გამოწვეულია როგორც მართვადი ნანოშუქურების, ასევე ტელესკოპის დეტექტირების მოცულობაში გამავალი ატმოსფერული მიუონების მიერ. მიუონებიდან მომდინარე სიგნალებისთვის ფოტონების მოსვლის მოსალოდნელ და გაზომილ დროებს შორის განსხვავებები ძალიან მცირეა, რაც ადასტურებს როგორც წყლის ხელსაყრელ გაბნევის მახასიათებელს, ასევე ზუსტ დროით კალიბრაციას (Coniglione et al., 2019).

მიმდინარე თავში აღწერილია KM3NeT ექსპერიმენტის მულტისენსორული ოპტიკური მოდულები და მათი მახასიათებლები. პირველადი კვლევების საფუძველზე, დასტურდება ფიზიკური პროცესების მაღალი სიზუსტით აღდგენისა და თანამშრომლობის მიერ მიზნად დასახული კვლევების ჩატარების შესაძლებლობა, რაც განხილული იქნება ნაშრომის შემდეგ თავებში.


### **3. მონაცემების მიღება და ანალიზი KM3NeT ექსპერიმენტში**

მიმდინარე თავში წარმოდგენილია KM3NeT ექსპერიმენტში მონაცემთა მიღება-ანალიზის ტექნიკური და პროგრამული ასპექტები. წარმოდგენილია KM3NeT ექსპერიმენტის კომპუტინგის მოდელი (Hofestädt, 2019), რომელიც იერარქიული ტიპისაა და შედგება სამი დონისაგან. KM3NeT თანამშრომლობაში მონაცემების ანალიზისთვის ძირითადად გამოიყენება მესამე დონის (Tier-2) კომპუტერული ცენტრები, რომლის მაგალითს წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტში არსებული კომპუტერული სერვერი. თსუ-ს KM3NeT Tier-2 (Papalashvili et al., 2022) სერვერზე ჩატარებული ანალიზი წარმოდგენილია ნაშრომის ამ თავის ბოლო ნაწილში.

#### **3.1 კომპუტინგის მოდელი KM3NeT ექსპერიმენტში**

KM3NeT პროექტში, ისევე როგორც ნაწილაკებისა და ასტრონაწილაკების ფიზიკის თანამედროვე ექსპერიმენტში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს კომპუტერულ მეთოდებს და პროგრამულ უზრუნველყოფას. მათი საშუალებით ხდება ექსპერიმენტული მონაცემებიდან შემთხვევების შერჩევა, ჩანერა, დეტექტორის დროითი კალიბრება და გეომეტრიული პოზიციის დაზუსტება, შემდეგ კი შემთხვევების რეკონსტრუქცია და ანალიზი. დეტექტორის მუშაობის შესასწავლად აუცილებელია მისი კომპუტერული მოდელის შექმნა, რომელსაც ისეთივე გამოცხადი აქვს მოდელირებულ შემთხვევებზე, როგორც ექსპერიმენტში ჩანერილ შემთხვევებს. იმის გამო, რომ კომპუტერული სიმულაციების დროს შემთხვევის ყველა პარამეტრი ცნობილია, შესაძლებლობა გვეძლევა დეტექტორის სხვადასხვა მახასიათებელი დეტალურად შევისწავლოთ. KM3NeT-ის კომპიუტინგის მოდელი LHC-ის (Evans & Bryant, 2008) მსგავსია. დაგეგმილია, რომ თავდაპირველი ეტაპის შემდეგ, როცა მონაცემები მხოლოდ

კოლაბორაციის წევრებისთვის იქნება ხელმისაწვდომი, მონაცემთა ბაზა ღია იყოს ყველასთვის. ამ ღია მონაცემებში მოიაზრება, როგორც კალიბრებული მონაცემები, ასევე შესაბამისი ცდომილებები და ანალიზისთვის საჭირო პროგრამული პაკეტები.



სურათი 3.1. KM3NeT პროექტის კომპუტინგის იერარქიული მოდელი.

KM3NeT-ის კომპუტინგის სისტემა, LHC-ის მსგავსად, იერარქიულად რამდენიმე დონედ (Tier) იყოფა. ამ მოდელში სულ 3 ასეთი დონეა (სურათი 3.1). ნულოვან დონეზე (Tier-0) პირველადი მონაცემები აიღება დეტექტორებიდან და განიცდის პირველად ფილტრაციას. აღნიშნულ ფილტრს უწოდებენ L0 ფილტრს. ის ამოწმებს ფოტოგამამრავლებლის სიგნალის ხანგრძლივობას, რომელიც აღემატება 0.3 ფოტოელექტრონისთვის დამახასიათებელ სიგნალს. ყველა სიგნალი, რომელიც აკმაყოფილებს L0 მოთხოვნას, “all data to shore” პრინციპის თანახმად, იგზავნება სანაპიროზე, სადაც ხდება მათი პირველადი დამუშავება. თითოეული სიგნალისთვის მონაცემთა მოცულობა შეადგენს 6 ბაიტს. სიგნალში ბაიტების განაწილება შემდეგნაირია: 1 ბაიტში ჩაინერება ფოტოგამამრავლებლის მისამართი; 4 ბაიტში – სიგნალის დრო; 1 ბაიტში – სიგნალის ხანგრძლივობა, იგივე ToT.

თუ გავითვალისწინებთ ფოტოსენსორზე სიგნალის დაფიქსირების საშუალო სიხშირეს - 8kHz (კილოჰერცი, კჰც), ORCA ტელესკოპიდან მონაცემთა ნაკადი იქნება ~25Gb/s (გიგაბიტი/წმ), ხოლო ARCA-სთვის დაახლოებით ორჯერ მეტი. აღნიშნული სიდიდე, ბიოლუმინესცენციის გამო, დროის ხანმოკლე მონაკვეთში შესაძლოა 100Gb/s-მდე გაიზარდოს. იმისათვის რომ შესაძლებელი გახდეს მონაცემების შენახვა, საჭიროა მათი მოცულობის შემცირება. ამისათვის გამოიყენება ტრიგერული ალგორითმები. მოცულობის შემცირების გარდა, მისი მთავარი დანიშნულებაა დეტექტორის მონაცემებში საკვლევო ფიზიკური პროცესების შერჩევა და ფონური სიგნალების გამოყოფა-ჩამოშორება. როგორც წესი, მონაცემთა შერჩევა ხდება ისე, რომ ფონის ტრიგერის სიხშირე ფიზიკური შემთხვევების სიხშირის 10%-ს არ აღემატებოდეს. ტრიგერირებისას უნდა ამოირჩეს, რომელი მონაცემები შეინახოს და რომელი არა. ამისთვის არსებობს ორი მეთოდი - ფოტოსენსორების სიგნალების (პიტების) დამთხვევის და კლასტერის. მეთოდები შემუშავებულია იმ პრინციპის მიხედვით, რომ მიუონებიდან წამოსული სიგნალები ერთმანეთთან კორელაციაშია. პიტების დამთხვევის მეთოდი გულისხმობს მეზობელ ფოტოგამამრავლებლებში კორელირებული პიტების დამზერას. კლასტერის მეთოდი კი იყენებს მიზგ-შედგობრივ კავშირს, რომლის მიხედვითაც ერთი კლასტერის პიტები ერთმანეთთან კორელირებენ. ასე მოწმდება, არის თუ არა რომელიმე ორი პიტი კორელირებული. თუ გვაქვს ორი პიტი  $i$  და  $j$ , -  $x_i$  და  $x_j$  მდებარეობებითა და  $t_i$  და  $t_j$  დროებით. ჩერენკოვის სინათლის ჯგუფური სიჩქარეა:

$$v=c/n \tag{3.1}$$

სადაც,  $v$  ჩერენკოვის სინათლის წყალში გავრცელების სიჩქარეა,  $c$  მიუონის სიჩქარე (სინათლის სიჩქარე ვაკუუმში),  $n$  წყლის გარდატეხის მაჩვენებელი. ცხადია, წყალში სინათლის სიჩქარე ნაკლებია მიუონისაზე. 3-განზომილებიანი ოპერატორით მოწმდება, არის თუ არა პიტების დროებს შორის განსხვავება იმ დროზე ნაკლები, რომელიც სჭირდება ჩერენკოვის სინათლეს, რათა გაიაროს მანძილი ფოტოგამამრავლებლებს შორის. მათემატიკურად:


$$|t_i - t_j| \leq |\vec{x}_i - \vec{x}_j| \cdot \frac{n}{c} \tag{3.2}$$

ეს პირობა შეიძლება დაზუსტდეს, თუ  $z$  ღერძის მიმართულებას ავიღებთ ისე, რომ დაემთხვეს მიუონის მიმართულებას. ასე შესაძლებელია მიმართულებების

განცალკევება და დროითი სხვაობის კორექტირება. საბოლოოდ ერთგანზომილებიანი ოპერატორისთვის დგება შემდეგი პირობა:

$$|(t_1 - t_2)c - z_1 - z_2| \leq \sqrt{(x_1 - x_2)^2 + (y_1 - y_2)^2} \cdot \tan \Theta_c \quad (3.3)$$

მონაცემთა ძირითადი ფილტრაცია მიმდინარეობს სანაპირო სადგურზე. L1 ფილტრაციისას ერთ ოპტიკურ მოდულში 10 ნანონამიან ფანჯარაში მოითხოვება ორი განსხვავებული ფოტოგამამრავლებლის სიგნალი (ჰიტი). ფიზიკური შემთხვევების ტრიგერირებისათვის გამოიყენება L2 ტიპის ჰიტები, რაც გულისხმობს ოპტიკურ მოდულს შორის რამდენიმე L1 ჰიტის არსებობას, რომელთა ფოტოგამამრავლებელთა შორის კუთხე არ აღემატება 90 გრადუსს. პირველ ეტაპზე, L2 ტიპის სინგალების რაოდენობით განისაზღვრება შემთხვევის ხასიათი, რომელიც შეიძლება იყოს ორგვარი: ტრეკის ან ღვარის ტიპის. სურათზე 3.2 მოცემულია ტრეკისა და ღვარის შემთხვევების მაგალითი.




სურათი 3.2. ტრეკიანი (მიუონური) და ღვარული შემთხვევები KM3NeT ექსპერიმენტში გაფილტრული მონაცემები ინერება დისკზე (root ფორმატში) და გადაეგზავნება დიდ კომპიუტერულ ცენტრებს, Tier-1-ებს. პირველ დონეზე (Tier-1) მონაცემები ინახება 3 დიდ კომპიუტერულ ცენტრში - CCIN2P3-ლიონი (CNRS, საფრანგეთი), CNAF (INFN) და ReCaS (იტალია). ძირითადად ამ ეტაპზევე ხდება მონაცემთა დამუშავება, შესაბამისი სიგნალების (ჰიტების) ჩაწერა და მონაცემთა სიმულაცია.

მეორე დონე (Tier-2) შედგება ლოკალური კომპიუტერული რესურსებისგან, რომელზეც პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ლოკალური დამუშავება და ანალიზი. სწორედ ამ დონეს ეკუთვნის კომპუტინგის ცენტრის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტში, რაც აღწერილია შემდგომში.


### 3.2. მონაცემთა მიღება და მონიტორინგი KM3NeT ექსპერიმენტში

ფიზიკის დიდ ექსპერიმენტებში რთული და კომპლექსური კომპუტინგისა და მონაცემთა მიღება-ჩანერის უდიდესი ნაწილის ავტომატიზირების მიუხედავად, საჭიროა პროცესებზე დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში – ჩარევა. ასეა KM3NeT ექსპერიმენტშიც, სადაც თანამშრომლობის წევრები ატარებენ მორიგეობებს (shift), რომელთა მიზანია მონაცემთა მიღება და ამ მონაცემების პირველადი ანალიზი, დეტექტორის გამართულად მუშაობის მონიტორინგი, დეტექტორის კალიბრებასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარება და საკალიბრაციო მონაცემების შეგროვება. თითოეული მორიგეობა გრძელდება ერთი კვირის განმავლობაში. სხვა ექსპერიმენტებისგან განსხვავებით, რომლებშიც მონაცემთა მიღება გარკვეულ პერიოდებში, შესაბამისი ხანგრძლივობით ხდება, KM3NeT ექსპერიმენტი მუშაობს უწყვეტად, შესაბამისად მეთვალყურეობაც მიმდინარეობს უწყვეტად. მონაცემები ჩაიწერება 3-საათიანი ხანგრძლივობის შესაბამის ფაილებში. ORCA6 (6 დეტექციის ერთეულისაგან შემდგარი კონფიგურაცია) ტრიგერირებული შემთხვევების სიხშირეები დროის მიხედვით, წარმოდგენილია სურ. 3.3-ზე.



სურათი 3.3. KM3NeT/ORCA6 კონფიგურაციისთვის შემთხვევათა ტრიგერირების სიხშირეების განაწილება დროში. ვერტიკალური წითელი წყვეტილი ხაზით აღნიშნულია ბღვრები ფაილებს შორის. მარჯვენა მხარეში ბღვრების სიმრავლე გამოწვეულია ხანმოკლე საკალიბრო მონაცემების შესაბამისი ფაილებით.


მორიგეობის დროს მიმდინარეობს როგორც ტელესკოპის ერთიანად მუშაობის, ასევე ინდივიდუალური ოპტიკური მოდულების მონიტორინგიც. ასევე შესაძლებელია ინდივიდუალურ ფოტოგამამრავლებლებზე დაკვირვებაც. სურათი 3.4 წარმოადგენს ORCA ტელესკოპის (18 დეტექციის ერთეულით), ხოლო სურათი 3.5 ARCA (21 დეტექციის ერთეულით) ტელესკოპებში თითოეულ ოპტიკურ მოდულში სიგნალების დაფიქსირების სიხშირეს.



სურათი 3.4. ORCA18-ში ოპტიკურ მოდულებში სიგნალების სიხშირეები



DOM Rates for DetID-133  
Wed Aug 9 07:56:58 2023 UTC




სურათი 3.5. ARCA21-ში ოპტიკურ მოდულებში სიგნალების სიხშირეები

სადოქტორო ნაშრომის შესრულების განმავლობაში მონაწილეობა მივიღე 3 ასეთ მორიგეობაში, რომლებშიც ვმონაწილეობდი ცვლის უფროსის (shift leader) სტატუსით.

### 3.3 KM3NeT პროექტის მეორე დონის (Tier-2) სერვერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასზე ჩატარებული კვლევები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტი ჩართულია KM3NeT-ის ექსპერიმენტულ მონაცემთა ანალიზში. ანალიზი შესაძლებელია ჩატარდეს ლიონის კომპიუტერულ ცენტრში, თუმცა არსებულ მონაცემებთან წვდომის სიჩქარე დაახლოებით 2.5 მეგაბაიტია წამში, რაც არახელსაყრელია დიდ ფაილებთან სამუშაოდ. გარდა ამისა, მიუხედავად ლიონის ცენტრის რესურსების მასშტაბურობისა, იმის გათვალისწინებით, რომ ის

ემსახურება ათასობით მომხმარებელს, შემუშავებულია სხვადასხვა კვოტა. კვოტა ეხება როგორც გამოთვლით დროსა და გამოთვლით სიმძლავრეებს, ასევე მესხიერებას. აღნიშნული შეზღუდვების გათვალისწინებით თსუ-ს ჯგუფმა შექმნა მეორე დონის (Tier-2) ლოკალური კომპიუტერული ცენტრი. ცენტრის ძირითადი სერვერი (სურათი 3.6), რომელიც განთავსებულია თსუ მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტში (მეფი). KM3NeT ექსპერიმენტის კომპიუტინგის მსგავსი სადგური ასევე განთავსდა საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციის (გრენა) კომპიუტერულ ცენტრში.



სურათი 3.6. თსუ მეფი კომპიუტერული სერვერის ძირითადი მახასიათებლები

ნაწილაკებისა და ასტრონაწილაკების ფიზიკაში ყველაზე ფართოდ გამოყენებული ოპერაციული სისტემა არის ლინუქსი (Linux). ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ სხვა სისტემებთან შედარებით მას ახასიათებს აღმატებული სისწრაფე, ოპერირებისთვის მცირე გამოთვლითი რესურსების საჭიროება,

სისტემისა და პროგრამების ღია წვდომის (Open Source) მოდელი, მოქნილობა, დაცულობა. ოპერაციული სისტემის არჩევანში არც KM3NeT პროექტია გამონაკლისი. KM3NeT თანამშრომლობა მონაცემთა დასამუშავებლად და ექსპერიმენტის მოდელირებისთვის პირველი დონის (Tier1) კომპუტერული ცენტრები იყენებენ CentOS 7 ოპერაციულ სისტემას, რომელიც ლინუქსის ერთ-ერთი სახეობაა. შესაბამისად, თსუ-ს ლოკალურ სერვერზეც გამოიყენება იგივე ოპერაციული სისტემა, რათა ის მაქსიმალურად დამსგავსებოდა თანამშრომლობაში არსებულ გამოთვლით ცენტრებს. გარდა ამისა, კომპუტერული პროგრამების დიდი ნაწილი, რომლებიც გამოიყენება როგორც KM3NeT-ში, ასევე, ზოგადად, მაღალი ენერჯიების ფიზიკაში, მუშაობს ძირითადად ლინუქს სისტემაზე. აღნიშნულ სერვერზე დაინსტალირებულია KM3NeT პროექტის ფარგლებში შექმნილი პროგრამები (ცხრილი 3.1) რომლებიც დაწერილია პროგრამირების სხვადასხვა ენაზე, აგრეთვე ნეიტრინოებისა და მიუონების სიმულაციისა და მონაცემთა ანალიზისთვის ყველაზე პოპულარული პროგრამები.

კომპ. პროგრამის სახელწოდება	პროგრამირების ენა	პროგრამის ბაზა	ტიპი/გამოყენება
JPP	C++	ROOT	KM3NeT პროგრამების პლატფორმა
MUPAGE	C++	CLHEP	ატმოსფერული მიუონების სიმულაცია
gSeaGen	C++	Genie	ატმ. ნეიტრინოების სიმულაცია
JSirene	C++	JPP	დეტექტორის გამოძახილის სიმულაცია
KM3Sim	C++	Geant 4	დეტექტორის გამოძახილის სიმულაცია
km3py	Python	Numpy, Scipy...	KM3NeT პროგრამების პლატფორმა

Aanet	C++/Python	ROOT	მონაცემთა ანალიზი
-------	------------	------	-------------------


ცხრილი 3.1. თბილისის სერვერზე დაინსტალირებული KM3NeT პროგრამული პაკეტები.

სერვერზე ასევე ინახება რეალური და მოდელირებული მონაცემები, დეტექტორის აღმწერი ფაილები, წყლის მახასიათებლების შემცველი მონაცემები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის ჯგუფი აქტიურად იყენებს ამ კომპიუტერულ რესურსებს მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზში. გარდა თანამშრომლობის სპეციფიკური პროგრამებისა, თსუ მეორე დონის სერვერზე გამართულია ნაწილაკების ფიზიკაში ფართოდ გამოყენებული პროგრამები: CompHEP (Pukhov et al., 2000), Geant4 (Agostinelli et al., 2003), Pythia (Sjöstrand et al., 2008), ROOT (Brun & Rademakers, 1997).

მუშაობის გამარტივების მიზნით სერვერზე შეიქმნა Jupyter გარემო (<http://t2.km3net.tsu.ge:9999/>), რომელშიც უფრო გამარტივებულია KM3NeT Tier-2 სერვერზე წვდომა და მონაცემთა ანალიზი. გარდა ამისა, ის Python-ის გარდა კიდევ 40-მდე კომპიუტერულ ენაზე მუშაობის საშუალებას იძლევა. Jupyter პროექტი წარმოადგენს ღია ინტერნეტ აპლიკაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია იმუშაო როგორც პროგრამულ კოდზე, ასევე გამოთვლებსა და ვიზუალიზაციაზე, შექმნა და გააზიარო საკუთარი კოდები (email, Dropbox, GitHub). ის საშუალებას იძლევა გადაამუშავო ინფორმაცია, გააკეთო მონაცემთა ანალიზი, შეასრულო ციფრული სიმულაცია, სტატისტიკური მოდელირება, მონაცემთა ვიზუალიზაცია და ა.შ. შედეგების გამოტანის საშუალებებიც მრავალფეროვანია (HTML, LaTeX, PDF...).


აღნიშნული გარემოს ერთ-ერთი მთავარი ღირსება მასზე წვდომის სიმარტივეა. KM3NeT Tier-2 სერვერზე რეგისტრირებულ მომხმარებელს შეუძლია სერვერთან დაკავშირება სხვადასხვა მოწყობილობით, იქნება ეს სმარტფონი, პლანშეტი, ლეპტოპი, პერსონალური კომპიუტერი თუ სხვა. ამისათვის მომხმარებელს დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფის გამართვა არ სჭირდება. KM3NeT თსუ ჯგუფი თსუ Jupyter სივრცეს აქტიურად

იყენებს KM3NeT მონაცემთა ანალიზში. სურ. 3.7 წარმოადგენს Jupyter სერვისის ინტერფეისის ილუსტრაციას.



სურათი 3.7. თსუ Tier2 სერვერის Jupyter გარემოს ინტერფეისი

როგორც აღინიშნა, KM3NeT/ORCA დეტექტორის მშენებლობა მიმდინარეობს ეტაპობრივად. რაც გულისხმობს დეტექტორის ხაზების ხმელთაშუა ზღვაში პერიოდულად ჩაშვებას. ამ ეტაპზე ზღვაში 18 აქტიური ხაზია, რომლებიდანაც განუწყვეტლივ მიიღება მონაცემები. ნაშრომის შესრულებისას დამუშავებული და ანალიზისთვის ხელმისაწვდომი იყო ORCA4-ის და ORCA6-ის მონაცემები. სწორედ ამ მონაცემებს ეფუძნება ამ თავში განხილული შემდეგი კვლევები. სურ.3.8-ზე ნაჩვენებია როგორ იცვლებოდა ORCA დეტექტორის ხაზების რაოდენობა დროის მიხედვით.




სურათი 3.8. ORCA დეტექტორის მშენებლობის პროცესში დეტექციის ერთულების რაოდენობა და მათი მატება დროში

KM3NeT პროექტში დაგეგმილი შედეგების მისაღებად აუცილებელია დეტექტორის გამოძახილის ზედმინწევით ცოდნა და ნეიტრინული შემთხვევების აღდგენის ალგორითმების დახვეწა. ამ მიზნების მისაღწევად, KM3NeT თსუ ჰკუფი ჩართული იყო ORCA4-ის (ოთხხაზიანი კონფიგურაცია) და ORCA6-ის (ექვსხაზიანი კონფიგურაცია) ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზში და ამ მონაცემების შესაბამის სიმულაციებთან შედარებაში. მთავარ მიზანს კი წარმოადგენდა ზღვის მონაცემების ანალიზი, რათა შემონწმებულიყო დეტექტორის გამართულად მუშაობა. KM3NeT Tier-2 თბილისის სერვერზე ხელმისაწვდომია ORCA4-ის 634 ფაილი, რომელიც შეესაბამება მონაცემთა მიღების პერიოდს: 07/2019 – 01/2020, ასევე ORCA6-ის 2610 ფაილი – პერიოდი: 01/2020 – 11/2021. თსუ სერვერზე განლაგებული ფაილები მოიცავს ორივე კონფიგურაციის სრულ მონაცემებს. ეს ფაილები, ჯამურად აერთიანებს ORCA4-ის  $\sim 8.4 \times 10^7$  და ORCA6-ის  $\sim 4.3 \times 10^8$  შემთხვევას. ეს მონაცემები გადმონწერილი იყო ლიონის კომპუტერული ცენტრის HPSS სისტემიდან. HPSS – High Performance Storage System წარმოადგენს მაგნიტური ლენტების სისტემას, სადაც შესაძლებელია ხანგრძლივად შეინახოს უზარმაზარი მონაცემები. ამ სისტემაზე წვდომა შესაძლებელია როგორც Tier-1 ცენტრებიდან, ასევე Tier-2 კომპუტერული გარემოდან.

მონაცემების დამუშავება, გულისხმობს KM3NeT დეტექტორიდან მიღებული სიგნალებიდან მიუონებისა და ნეიტრინოების აღდგენას. ამ

პროცესებს ესაჭიროება დიდი კომპიუტერული რესურსები და მიმდინარეობს ცენტრალიზებულად Tier-1 სერვერებზე. შემდეგი ანალიზი, ჩატარებულია ORCA4-ს და ORCA6-ის დამუშავებულ მონაცემებზე. აღნიშნული ანალიზი შესრულდა KM3NeT Tier-2 თსუ სერვერზე. სურათი 3.9 წარმოადგენს შემთხვევათა რაოდენობის განაწილებას ჩანერილ ფაილებში. თითოეულ ასეთ ფაილს მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი (Run-ის ნომერი).




სურათი 3.9. მონაცემთა რაოდენობების განაწილება Run-ების მიხედვით

KM3NeT ექსპერიმენტულ მონაცემებსა და სიმულირებულ მონაცემებს აქვთ იდენტური სტრუქტურა, რაც ამარტივებს დეტექტორისა და ალგორითმების გამართულობის შესწავლას. თითოეული KM3NeT შემთხვევა ძირითადად შედგება Run-ის პარამეტრებისაგან, ჰიტებისა და აღდგენილი ტრეკებისაგან. ჰიტები და ტრეკები თავის მხრივ ხასიათდება შესაბამისი პარამეტრებით. შემთხვევისა და მასში შემავალი სიდიდეების განსაზღვრებები მოცემულია ნაშრომის დამატებაში - დანართი 1.

შემთხვევაში ჰიტებს შეესაბამება დრო და კოორდინატი, რომელთა გამოყენებითაც დადგინდა სანყისი ნაწილაკის მახასიათებლები, როგორცაა მაგ. მიმართულება, ენერჯია. აღნიშნული ჰიტებისგან შედგება შემთხვევები, რომლებიც თავის მხრივ შეიცავს ინფორმაციას სანყისი ნაწილაკის შესახებ. ასეთი შემთხვევები შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა რაოდენობის ჰიტებს. სურათი 3.10. გვიჩვენებს ექსპერიმენტულ შემთხვევებში ჰიტების შემცველობას

ORCA4-ის და ORCA6-ის მონაცემებისათვის და ჰიტების საშუალო რაოდენობას. თითოეული შემთხვევა შემოსაზღვრულია დროითი ფანჯრით. დროითი ფანჯრის ზომა დამოკიდებულია დეტექტორის მოცულობაზე. ORCA4-ს და ORCA6-ის შემთხვევების ხანგრძლივობები წარმოდგენილია სურ. 3.10-ზე.




სურათი 3.10. ORCA4 და ORCA6-ის შემთხვევების ხანგრძლივობები.

ფოტოგამამრავლებელზე დაფიქსირებული სიგნალების საშუალო სიხშირეების (8კჰც) გათვალისწინებით, ORCA6 კონფიგურაციისთვის შემთხვევებში ჰიტების რაოდენობა შესაძლებელია შეფასდეს შემდეგნაირად:


$$\frac{8 \times 10^3 \times 31 \times 18 \times 6}{10^{-6}} \approx 27 \text{ ჰიტის/მკმ} .$$





სურათი 3.11. ჰიტების რაოდენობების განაწილება ORCA4 და ORCA6 შემთხვევებში. მარჯვნივ მოცემულია რაოდენობათა საშუალო არითმეტიკული.


ამ ჰიტების საფუძველზე აღდგენილია საწყისი ნაწილაკები, რომლებმაც გამოიწვია ჩერენკოვის ნათება. იმისთვის რომ გავარჩიოთ აღდგენილი მიუონი იყო ატმოსფერული, თუ დედამიწაში გავლილი ნეიტრინოს ნივთიერებასთან ურთიერთქმედების შედეგად წამოქმნილი, მთავარი იარაღია ამ მიუონის მიმართულების დადგენა. მონაცემებში აღდგენილი მიუონების მიმართულებათა განაწილება მოცემულია სურათზე 3.12.



სურათი 3.12. მარცხნივ: აღდგენილი ტრეკების რაოდენობის განაწილება Z ღერძთან შედგენილი კუთხის კოსინუსის მიხედვით.


მარჯვნივ: Z ღერძის, ატმოსფერული მიუონებისა და ნეიტრინოების მიმართულებები.

Z ღერძი წარმოადგენს ზღვის ფსკერის მართობულ, ზემოთ მიმართულ წარმოსახვით წრფეს. თუ აღდგენილი მიუონი დედამიწის სიღრმიდან გედაპირისგან მიემართება ანუ მიუონის აღდგენილი წრფივი ტრაექტორიის მიმართულება Z ღერძთან შედგენილი კოსინუსი დადებითია, რადგან ატმოსფერული მიუონი დედამიწას ვერ განჭოლავდა, შეგვიძლია მივიჩნიოთ რომ ნეიტრინომ განჭოლა დედამიწა და წარმოქმნა ეს მიუონი. ცხადია ტრეკის აღდგენისას, მისი მიმართულება შეიძლება არასწორად აღდგეს. ალგორითმის შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ სიმულირებულ შემთხვევებზე. მოდელირებული ატმოსფერული მიუონის აღდგენის კუთხური გარჩევისუნარიანობა მოცემულია სურათზე 3.13.



სურათი 3.13. მოდელირებული ატმოსფერული მიუონის კუთხური გარჩევის-უნარიანობა. ლურჯი ჰისტოგრამით აღნიშნულია ყველა მიუონი; წითლით მიუონები, რომელთა  $\cos\theta_z > -0.2$ ; ცისფერი გვიჩვენებს მიუონებს, რომელთა “ხარისხის” აღმნიშვნელი პარამეტრი აღემატება 2-ს.

სურათზე 3.13 პიკი 80-85 გრადუსის ინტერვალში დაკავშირებულია ტრეკის მიმართულების აღდგენის არაცალსახობასთან. ეს არაცალსახობა ჩერენკოვის ნათების თვისებისა და მარტივი გეომეტრიული ეფექტით აიხსნება. ზღვის წყალში, კუთხე ნაწილაკსა და ჩერენკოვის ფოტონებს შორის წარმოადგენს  $41^\circ$ -ს. ამიტომ საძიებელი ნაწილაკის ტრეკის აღდგენისას, რეალური მიუონის მიმართულება შეიძლება შეცდომით აღდგეს. მათ შორის კუთხე ორჯერ აღემატება ჩერენკოვის კუთხეს. ასეთი შემთხვევების ერთ-ერთი მაგალითი მოცემულია სურათზე 3.14.




სურათი 3.14. ვერტიკალურად ქვემოთ მიმართული მიუონის არასწორად აღდგენა გეომეტრიული არაცალსახობის გამო.

ვერტიკალურის გარდა, კორიზონტალური მიუონის შემთხვევაში, შესაძლოა ატმოსფერული მიუონი არასწორად აღდგეს როგორც ნეიტრინო. ეს მოვლენა აღწერილია სურათზე 3.15.


ასეთი შეცდომების გამოსარიცხად საჭიროა მათი გათვალისწინება აღდგენის ალგორითმებში, ასევე შესაბამისი ჩამოჭრების შემოღება. ამ ყველაფრის შემონახვა შესაძლებელია სიმულირებულ შემთხვევებში.

Ambiguity in track reconstruction:  
 "horizontal muon"  
 could be reconstructed as  
 "up-going"  $\nu_\mu$  induced  
 $\mu$ -track.




სურათი 3.15. პორიზონტალური მიუონის არასწორად აღდგენა გეომეტრიული არაცალსახობის გამო.

გარდა ფიზიკური შემთხვევებისა, გასათვალისწინებელია დეტექტორის კომპონენტების ანომალური გამოცდები. სწორედ ასეთი შემთხვევების ანალიზი ჩატარდა კოლაბორაციის თხოვნით. კვლევა ეხებოდა მაღალი ამპლიტუდის (ToT=255 ნანონამი) ჰიტების შესწავლას. სურ. 3.16-ზე წარმოდგენილია ORCA6-ის მონაცემებში ToT სიდიდის განაწილება. აღნიშნული განაწილების მარჯვენა მხარეს არის პიკი 255 ნანო ნამზე, რაც გამომწვეულია მონაცემთა ჩანერის მეთოდის თავისებურებით. კერძოდ, ToT სიდიდის ჩასაწერად გამოყოფილია 8 ბიტი მონაცემთა მოცულობა. რადგან  $2^8=256$ , შესაბამისად ToT ვერ გადააჭარბებს 255-ს. ყველა ის სიგნალი რომლის სიგანეც აღემატება 255-ს, მონაცემებში ჩაინერება როგორც 255.




სურათი 3.16. ORCA6-ის მონაცემებში სიგნალის სიდიდის განაწილება.

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რომ ერთ-ერთი ფოტოგამამრავლებელი როგორც ORCA4-ის ასევე ORCA6-ის მონაცემებში, იძლეოდა ანომალურად დიდი რაოდენობის  $ToT=255$  ნანო წამის სიგნალებს რაც ჩანს სურათზე 3.17.



სურათი 3.17. გააქტიურებული ფოტოგამამრავლებლები ORCA6-ის მონაცემებში. X ღერძზე გადაზომილია 108 ცალი DOM ხაზების მიხედვით. Y ღერძზე გადაზომილია თითოეული DOM-ში არსებული PMT. Z ღერძზე სიგნალების ჯამური რაოდენობა

როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული ფოტოგამამრავლებელი ადრეც იყო შემჩნეული და იგეგმებოდა მისი გამორთვა, თუმცა ასე არ მოხდა. ამჟერად, მსჯელობისა და კონსულტაციების შედეგად, კოლაბორაციაში გადაწყდა, გაეთიშათ ეს ფოტოსენსორი და ასეც მოხდა. სურათზე 3.18 ნაჩვენებია მსგავსი განაწილება, ანომალური PMT-ის გამორთვის შემდეგ.



სურათი 3.18. გააქტიურებული ფოტოგამამრავლებლები ORCA6-ის მონაცემებში. X ღერძზე გადაზომილია 108 ცალი DOM ხაზების მიხედვით. Y ღერძზე გადაზომილია თითოეული DOM-ში არსებული PMT. Z ღერძზე სიგნალების ჯამური რაოდენობა

მიმდინარე თავში განხილული იყო KM3NeT ექსპერიმენტის კომპუტინგის იერარქიული მოდელი, მონაცემთა მიღება და დეტექტორის მონიტორინგი. წარმოდგენილია KM3NeT Tier-2 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სერვერი, მასზე განთავსებული პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემები. განხილულია აღნიშნულ სერვერზე ჩატარებული კვლევები რომლებიც ეფუძნება ORCA4-ის და ORCA6-ის მონაცემებს. კვლევები მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: ფიზიკური პროცესების კვლევა და ინსტრუმენტული ეფექტების შესწავლა. ინსტრუმენტული ეფექტის შესწავლისას გამოიკვეთა ანომალური ფოტოგამამრავლებლები. ფოტოგამამრავლებელი, რომელსაც ახასიათებდა  $ToT=255$  ტიპის სიგნალების ყველაზე დიდი სიხშირე KM3NeT თანამშრომლობის გადანყვეტილებით, აღარ გამოიყენება ფიზიკურ ანალიზებში.

## **4. ატმოსფერული მიუონების ნაკადის აღდგენა ხმელთაშუა ზღვის სიღრმეში KM3NeT ოპტიკური მოდულების საშუალებით**

KM3NeT ექსპერიმენტში ატმოსფერული მიუონების შესწავლას დიდი ყურადღება ეთმობა ორი მიზნის გამო. ისინი გამოიყენება დეტექტორის კალიბრაციისთვის; ასევე, ნეიტრინული კვლევებისას ატმოსფერული მიუონები შესაძლოა რეკონსტრუირდეს როგორც მიუონური ნეიტრინოს მიერ წარმოქმნილი მიუონი, ამიტომ ასეთი შემთხვევების გამოსარიცხად საჭიროა მათი იდენტიფიკაცია. როგორც ნაშრომში აღნიშნულია, დეტექტორი მშენებლობის პროცესშია, თუმცა ზღვის სიღრმეში განთავსებული დეტექციის ერთეულებიდან, უკვე მიმდინარეობს მონაცემთა მიღება. მშენებლობის პროცესში ძირითად ამოცანას წარმოადგენს დეტექტორის შემოწმება თუ რამდენად კარგად მუშაობს და რამდენად შესაძლებელია მისი მეშვეობით ფიზიკური კვლევების ჩატარება. მიმდინარე თავში, აღწერილია ცალკეულ ინოვაციურ, მრავალფოტოგამამრავლებლიან ოპტიკურ მოდულებში მიუონების სიგნალების ფონიდან გამოყოფა და მათი ნაკადის აღდგენა. ამ ამოცანის ჩატარება შესაძლებელი გახდა ოპტიკურ მოდულში განთავსებული



ფოტოსენსორების სიგნალების თანხვედრების გამოყენებით, რაც შეუძლებელია სხვა მსგავსი ნეიტრინული ტელესკოპებისათვის.

## 4.1. ატმოსფერული მიუონები

ისტორიულად, 1936 წელს კარლ ანდერსონმა და სეთ ნედერმაიერმა კალიფორნიის ტექნიკურ ინსტიტუტში კოსმოსური სხივების შესწავლისას აღმოაჩინეს მიუონები (Neddermeyer & Anderson, 1937). ანდერსონმა შენიშნა ნაწილაკები, რომელთა ტრაექტორია მაგნიტურ ველში იქამდე ცნობილი ნაწილაკების ტრაექტორიებისგან განსხვავდებოდა. მაგნიტურ ველში დაკვირვებებით ივარაუდეს, რომ აღნიშნული ნაწილაკი უარყოფითი (-1 e) ელექტრული მუხტის მატარებელია, თუმცა აქვს ელექტრონზე დიდი და პროტონზე მცირე მასა. ანდერსონმა თავდაპირველად უწოდა ახალ ნაწილაკს მეზოტრონი, (meso - ბერძნული სიტყვიდან "შუა"). მოგვიანებით, 1937 წელს ვილსონის კამერის ექსპერიმენტით დადასტურდა მიუონის არსებობა.


იაპონელმა მეცნიერმა, ჰიდეკი იუკავამ, 1935 წლის სტატიაში (Yukawa, 1935), იწინასწარმეტყველა ნუკლონებს შორის ბირთვული ძალის გადამტანი ნაწილაკი, რომელიც იქნებოდა ელექტრონზე დაახლოებით 200-ჯერ მძიმე. მასის გამო, მიუონი თავდაპირველად ითვლებოდა იუკავას ნაწილაკად. ზოგიერთმა მეცნიერმა, მათ შორის ნილს ბორმა, მას იუკონი უწოდა. იუკავას ნაწინასწარმეტყველები ნაწილაკი – რომელსაც შემდგომში პი ( $\pi$ ) მეზონი ეწოდა, კოსმოსური სხივების კვლევებისას აღმოაჩინეს 1947 წელს (Lattes et al., 1947), იუკავას კი 1949 წელს გადასცეს ნობელის პრემია.

ორი შუალედური მასის მქონე ნაწილაკის აღმოჩენის შემდგომ, შემოიღეს უფრო ზოგადი ტერმინი - მეზონი, რომელსაც უწოდებენ ისეთ ნაწილაკებს რომელთა მასა ექცევა ელექტრონებსა და ნუკლონებს შორის მასის დიაპაზონში.

მოგვიანებით, როდესაც ამარქარებლის ექსპერიმენტებში მეტი ტიპის მეზონები აღმოაჩინეს, გაირკვა, რომ მიუ ( $\mu$ ) მეზონი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა არა მხოლოდ პი მეზონისგან, არამედ სხვა მეზონებისაგანაც.

მიუ მებონები არ ურთიერთქმედებდნენ ბირთვულ ძალებთან, რაც წარმოადგენდა მთავარი განმასხვავებელი ფაქტორს.


1970-იან წლებში სტანდარტულ მოდელში, ყველა მებონი მიუ მებონის გარდა იდენტიფიცირდა ადრონად, ანუ კვარკებისგან შემდგარი ნაწილაკად. მიუ მებონი, მოდელში შევიდა როგორც ფუნდამენტური ნაწილაკი (ლექტონი), კვარკული სტრუქტურის გარეშე. საბოლოოდ, დადგინდა მებონის განმარტებაც – სუბატომური ნაწილაკი, რომლის მასა მოთავსებულია ელექტრონსა და ნუკლონებს შორის და შედგებიან კვარკ-ანტიკვარკული წყვილებისგან. ამ განმარტების თანახმად მიუ მებონები არ არიან მებონები. ამიტომ, ტერმინი ‘მიუ მებონი’ ჩანაცვლდა ტერმინით – მიუონი. სურათზე 4.1 მოცემულია ნაწილაკების სტანდარტულ მოდელში (Particle Data Group et al., 2022) შემავალი ნაწილაკები და მათი აღმწერი პარამეტრები (მასა, ელექტრული მუხტი, სპინი).



სურათი 4.1. ნაწილაკების ფიზიკის სტანდარტული მოდელში შემავალი ნაწიკალები და მათი ძირითადი პარამეტრები. იისფრად მოცემულია კვარკები, მწვანედ ლეპტონები, წითლად ურთერთქმედების გადამტანი ნაწილაკები, ყვითლად ჰიგსის ბოზონი.

მიუონი მეორე თაობის ლეპტონია, ელექტრული მუხტით  $-1 e$  და სპინით  $\frac{1}{2}$ . როგორც სხვა ლეპტონებს, მიუონს არ აქვს რაიმე ქვესტრუქტურა - მიჩნევა, რომ იგი არ შედგება სხვა ნაწილაკებისგან. სხვა ელემენტარული ნაწილაკების მსგავსად, მიუონს აქვს საპირისპირო მუხტის შესაბამისი ანტინაწილაკი. მას ეწოდება ანტიმიუონი ან დადებითი მიუონი ( $\mu^+$ ).

$\mu$  არის არასტაბილური ნაწილაკი, რომლის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაა  $2.2 \mu s$  (მიკროწამი), ბევრად უფრო ხანგრძლივი ვიდრე სხვა სუბატომური ნაწილაკების. მიუონის დაშლა თითქმის ყოველთვის წარმოქმნის მინიმუმ სამ ნაწილაკს, რომელიც უნდა შეიცავდეს იმავე მუხტის ელექტრონს, როგორც მიუონი და ორი ტიპის ნეიტრინოს. მიუონის დაშლისას შესაბამისი ნეიტრინოების წარმოქმნა უზრუნველყოფს ლეპტონური მუხტის შენახვას.



სურათი 4.2. მიუონის ყველაზე გავრცელებული დაშლის ფენმანის დიაგრამა


მიუონისა და ანტიმიუონის დაშლები მოცემულია ცხრილში 4.1.

მიუონის დაშლის არხი
$\mu^- \rightarrow e^- + \nu_e + \nu_\mu$
$\mu^- \rightarrow e^- + \nu_e + \nu_\mu + \gamma$
$\mu^- \rightarrow e^- + \nu_e + \nu_\mu + e^+ + e^-$

ცხრილი 4.1. მიუონისა და ანტიმიუონის დაშლის არხები

ამ დაშლებიდან ~100% ალბათობით მიმდინარეობს პირველი დაშლა. მეორე დაშლის ალბათობა წარმოადგენს  $(6.0 \pm 0.5) \times 10^{-8}$ -ს, ხოლო მესამესი  $(3.4 \pm 0.4) \times 10^{-5}$ .

მიუონის მასა არის  $105,66 \text{ MeV}/c^2$ , რაც დაახლოებით 207-ჯერ აღემატება ელექტრონის მასას -  $m_e$ . მათი დიდი მასის გამო, მიუონების აჩქარება ელექტრომაგნიტურ ველებში ნაკლებია ელექტრონების აჩქარებასთან შედარებით, ასევე ნაკლებია მათი დამუხრუჭებითი გამოსხივებაც. ეს გარემოება, მოცემული ენერგიის მიუონებს, საშუალებას აძლევს უფრო ღრმად შეაღწიონ მატერიაში, რადგან ელექტრონებისა და მიუონების შენელება, პირველ რიგში, გამოწვეულია დამუხრუჭებითი გამოსხივებით ენერგიის დაკარგვით. ატმოსფერულ მიუონებს, რომლებიც ატმოსფეროში მოხვედრილი კოსმოსური სხივების მატერიასთან ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნელ ატმოსფერულ ღვარებში იბადებიან, შეუძლიათ მიაღწიონ დედამიწის ზედაპირს და ჩააღწიონ ზღვის, წყალსაცავების თუ მაღაროების სიღრმეებშიც კი. ატმოსფერული ღვარები და მათში წარმოქმნილი მიუონები ნაჩვენებია სურათზე 4.3.




სურათი 4.3. კოსმოსური სხივების მიერ გამოწვეული ატმოსფერული ღვარი

ატმოსფერული ანუ მეორადი მიუონების ნაკადის ინტენსივობა ზღვის დონეზე არის  $\sim 1$  მიუონი, კვადრატულ სანტიმეტრზე, წუთში. ზღვის დონეზე ატმოსფერული მიუონების ენერგია საშუალოდ 4 გევ-ია. მიუონები, მატერიასთან ურთიერთქმედებისას ინვევენ მის იონიზაციას. ატმოსფეროში გამავალი მიუონების მიერ ენერგიის დაკარგვა პროპორციულია იმ მატერიის რაოდენობის, რომელსაც ისინი განჭოლავენ. ენერგიის დანაკარგის საშუალო მნიშვნელობა ხასიათდება გარემოს სიმკვრივის ( $\text{გ/სმ}^3$ ) ნამრავლით გავლილ მანძილზე სანტიმეტრებში. ამ სიდიდეს უწოდებენ "ურთიერთქმედების სიგრძეს" (იზომება  $\text{გ/სმ}^2$ -ში). ენერგიის დანაკარგი მიუონებისთვის არის დაახლოებით 2 მევ  $\text{გ/სმ}^2$ -ზე. ატმოსფეროს ურთიერთქმედების სიღრმე დაახლოებით 1000  $\text{სმ}^2$ -ია, ამიტომ მიუონები ატმოსფეროში გავლისას კარგავენ დაახლოებით 2 გევ ენერგიას. რადგან ზღვის დონეზე მეორადი მიუონების საშუალო ენერგია 4 გევ-ია, მეორადი მიუონების საშუალო საწყის ენერგიად მიიჩნევა 6 გევ.

მატერიაში ღრმად შეღწევის უნარისა და (სუბატომური ნაწილაკების სტანდარტებით) დიდი სიცოცხლის ხანგრძლივობის გამო, მიუონები აღწევენ KM3NeT წყალქვეშა ტელესკოპების სიღრმეებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნეიტრინული კვლევებისას წარმოადგენენ ხელისშემშლელ ნაწილაკებს, პროექტში მაინც მნიშვნელოვანი როლი უკავიათ. მათი საშუალებით შესაძლებელია დეტექტორის კალიბრება, ასევე დეტექტორის გამართულად მუშაობის შემოწმება.


## 4.2 ატმოსფერული მიუონების ნაკადის ზღვის სიღრმეზე დამოკიდებულების შესწავლა

როგორც აქამდე აღინიშნა, KM3NeT ექსპერიმენტში ფონის მთავარ წყაროს წარმოადგენს ზღვის მარილებში არსებული კალიუმის არასტაბილური იზოტოპის ( $^{40}\text{K}$ ) რადიოაქტიური დაშლა. დაშლების  $\sim 89\%$ -ში გამოსხივდება ბეტა ნაწილაკი, რომელსაც ახასიათებს ჩერენკოვის ნათება.  $^{40}\text{K}$ -ის დაშლის არხების სქემა ილუსტრირებულია სურათზე 4.4.



სურათი 4.4.  $^{40}\text{K}$ -ის რადიოაქტიური დაშლის არხები და მათი პროცენტული წილი

ასეთი ფონური ნათების გამოყოფა და მოცილება შესაძლებელია ფოტოგამამრავლებლების სიგნალებს შორის სივრცე-დროითი კორელაციების მოთხოვნით. თუმცა, მეორე მხრივ, ეს დაშლები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ოპტიკური მოდულების ფოტოგამამრავლებლების კალიბრაციისთვის და ხანგრძლივ პერსპექტივაში დეტექტორის მუშაობის მონიტორინგისთვის. მიუონების ნაკადის აღდგენის ამოცანაში სიზუსტე მკვეთრად არის დამოკიდებული დეტექტორის ოპტიკური მოდულების ფოტოსენსორების დროით კალიბრაციაზე.




სურათი 4.5. ოპტიკურ მოდულში სიგნალების წყვილის დროითი განსხვავება ორი (i და j) ფოტო-გამამრავლებლისთვის. წითლად მოცემულია შედეგები კალიბრებამდე, ლურჯად – კალიბრაციის შემდეგ. მწვანედ მოცემულია ფონი. შავი მრუდით ნაჩვენებია კალიბრაციისთვის გამოყენებული გაუსის განაწილება.

სურათზე 4.5. ნაჩვენებია ორ ფოტოგამამრავლებელს შორის სიგნალთა დროითი განსხვავება. ორი ფოტოგამამრავლებლის (პირობითად, i და j) LO ჰიტს შორის დროითი განსხვავებების განაწილების შესწავლით, შესაძლებელია შეფასდეს ისეთი პარამეტრები, როგორიცაა: ფარდობითი დროითი გადახრა ( $t_0$ ), „Transit Time Spread“ სიდიდე (TTS) და ფოტონის დაფიქსირების ეფექტურობა ( $\epsilon$ ) (Melis & KM3NeT Collaboration, 2017). მონაცემთა ფიტირებისას მოთხოვნილია, რომ ყველა PMT-ის  $t_0$  გადახრების ჯამი იყოს 0-ის ტოლი. 31 PMT-სგან შემდგარ მოდულში შესაძლებელია 465 სხვადასხვა წყვილის განხილვა. შემთხვევითი, არაკორელირებული სიგნალები კი საერთოდ არაა დამოკიდებული ამ დროით სხვაობაზე და ხდება შესაბამისი შემთხვევების

გამოყოფა. მოცემული 465 წყვილისთვის მიიღება შესაბამისი დროითი თანხვედრის განაწილება, რომელსაც ერგება გაუსის განაწილება. ერთი წყვილისთვის მიიღება სურათზე მოცემული განაწილება, სადაც წითლად არის სურათი კალიბრაციამდე, ხოლო ლურჯად - კალიბრაციის შემდეგ მიღებული შედეგი. განსხვავება გაუსის ინტეგრალსა და მიღებულ ინტეგრალს შორის 3%-ზე ნაკლებია და შესაძლებელია მიღებულ იქნას, როგორც სისტემური ცდომილება.

შესწავლილია ფოტონის დაფიქსირების ეფექტურობა და საშუალოდან გადახრა ოპტიკური მოდულის ფოტოგამამრავლებლებისთვის, ORCA1-ისა და ARCA2-სთვის. ფოტოგამრავლებელთა ეფექტურობის შედარება საშუალო ეფექტურობასთან წარმოდგენილია სურათზე 4.6.





სურათი 4.6. დროზე დამოკიდებული განსხვავება ARCA2-სა და ORCA1-ში ინდივიდუალური ფოტოგამამრავლებლის ფოტონის დეტექციის ეფექტურობასა და გლობალურ საშუალო ეფექტურობას შორის. ფერადი სკალით გამოსახავს ჰისტოგრამის არხში (bin) ფოტოგამამრავლებელთა რაოდენობა. განაწილებაში თეთრი ნაწილები შეესაბამება წყვეტებს მონაცემთა მიღებაში. ვერტიკალური შავი მონაკვეთით ნაჩვენებია მონაცემთა მოცულობის შემცირების ახალი მეთოდის ამოქმედების მომენტი.

ატმოსფერული მიუონების ნაკადის სიღრმეზე დამოკიდებულების შესასწავლად აღებულია ARCA2 მონაცემები 2016 წლის 23 დეკემბრიდან 2017 წლის 2 მარტამდე, ასევე ORCA1 მონაცემები 2017 წლის 9 ნოემბრიდან იმავე წლის 13 დეკემბრამდე.


დროითი და ფოტონების დეტექციის ეფექტურობის კალიბრაცია ჩატარებულია მონაცემთა 6 საათიან სეგმენტებზე. მიღებული სტატისტიკა კი სავსებით საკმარისია ექსპერიმენტული და სიმულირებული მონაცემების შესაფასებლად, შესაბამისი პარამეტრების ფლუქტუაციების თავიდან ასაცილებლად.

დეტექტორზე მიუონების ნაკადის გამოძახილის შესასწავლად ასევე გამოყენებული იყო მონტე-კარლოს მეთოდით სიმულირებული შემთხვევები. სიმულაცია მოიცავს შემთხვევების გენერირებას, ჩერენკოვის სინათლის წარმოქმნას, ამ შემთხვევების ფოტოგამამრავლებლების მიერ დეტექციას და მონაცემთა გაფილტვრას. ატმოსფერული მიუონების შემთხვევები სიმულირებული იყო MUPAGE (Carminati et al., 2008) პროგრამული პაკეტით. ამ პაკეტში გათვალისწინებულია კოსმოსური სხივების ატმოსფეროსთან ურთიერთქმედებში წარმოქმნილი მიუონები. KM3 პაკეტით კი სიმულირებულია ჩერენკოვის გამოსხივების წარმოქმნა. ეს პროგრამა ეყრდნობა GEANT3.21-ით (Brun et al., 1987) მიღებული რელატივისტური მიუონებისა და ელექტრომაგნიტური ღვარების სიმულაციების შესაბამის ცხრილებს. ის უზრუნველყოფს ზღვის წყალში ჩერენკოვის ნათების წარმოქმნას, გავრცელებას, გაბნევასა და შთანთქმას. გარდა ამისა, KM3 ითვალისწინებს ოპტიკური მოდულის სტრუქტურასა და მახასიათებლებს, კერძოდ მოდულში განთავსებულ ამრეკლ რგოლებს, მინისა და ოპტიკური გელის მიერ სინათლის შთანთქმას.

საბოლოოდ, გაზომილი PMT-პარამეტრების შესაბამისად, სიმულირებულია დეტექტორის გამოძახილი სიმულირებულ შემთხვევებზე, ასევე დამატებულია შემთხვევითი ოპტიკური ფონიც. მოდელურებული შემთხვევები სრულად იმეორებს რეალური მონაცემების სტრუქტურას, რათა გაადვილდეს ორივე მათგანის ანალიზი, რაც გულისხმობს იდენტური ალგორითმების, კომპიუტერული კოდებისა და პროგრამების გამოყენებას.

თითოეულ ოპტიკურ მოდულში არსებული ფოტოგამამრავლებლები იძლევა საშუალებას, რომ გაიზომოს ფოტონთა რაოდენობა, მათი დაფიქსირების დრო და მიმართულება. ამის წყალობით შესაძლებელია ატმოსფერული მიუონების სიგნალის გამოყოფა ბიოლუმინესცენციისა და  $^{40}\text{K}$  რადიოაქტიური დაშლის ფონებისგან. ფონის გამოყოფის საშუალებას იძლევა ერთ მოდულში მდებარე სხვადასხვა PMT-ებში სიგნალების თანხვედრა და თანხვედრათა რაოდენობა. თანხვედრა განსაზღვრულია, როგორც ერთ ოპტიკურ მოდულში 15 ნწმ დროით ფანჯარაში ჰიტების არსებობა. ამ თანხვედრაში მონაწილე PMT-ების რიცხვს კი ეწოდება მრავლობითობა (multiplicity).

სურათზე 4.7. წარმოდგენილია ARCA2-ისა და ORCA1-ის ოპტიკურ მოდულებში გასაშუალოებული თანხვედრის სიხშირეები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მრავლობითობაზე. გრაფიკზე წარმოდგენილია მხოლოდ სტატისტიკური ცდომილებები. შემთხვევითი ფონი მოცილებულია.



სურათი 4.7. ზემოთ: თანხვედრათა მოხდენის სიხშირის დამოკიდებულება მრავლობითობაზე ORCA1 და ARCA2 დეტექტორში. სიხშირეები გასაშუალოებულია თითოეულ დეტექტორზე ყველა ოპტიკური მოდულის გათვალისწინებით.

ქვემოთ: ORCA1 და ARCA2 დეტექტორებში თანხვედრათა სიხშირეების ფარდობა. მრავლობითობა  $< 6$  დიაპაზონში დომინირებს  $^{40}\text{K}$ -ის დაშლებით გამოწვეული სიგნალები. მრავლობითობა  $> 7$  დიაპაზონში კი დომინირებს მიუონების მიერ გამოწვეული სიგნალები. ნაჩვენებია მხოლოდ სტატისტიკური ცდომილებები.

როგორც გრაფიკიდან ჩანს,  $^{40}\text{K}$  დაშლის ფონი დომინირებს მრავლობითობა  $< 8$  რეგიონში. გაზომვები აჩვენებს, რომ ზღვის მარილიანობა არაა დამოკიდებული არც სიღრმეზე და არც მდებარეობაზე (Albert et al., 2018; Riccobene et al., 2007). ატმოსფერული მიუონებით გამოწვეული დამთხვევები კი დომინირებს მრავლობითობა  $> 8$  დიაპაზონში. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ


$^{40}\text{K}$  დაშლებისას განათდება ოპტიკური მოდულის მხოლოდ მცირე ნაწილი, ხოლო მიუონსა და მიუონთა ჯგუფებს პოტენციურად შეუძლიათ გამოიწვიონ მოდულში ყველა ფოტოგამამრავლებლის განათება. აქვე აღსანიშნავია, რომ ORCA დეტექტორში თანხვედრათა რიცხვი დაახლოებით სამჯერ მეტია ვიდრე ARCA-ში. ამის მთავარი მიზეზი კი დეტექტორების განთავსების სიღრმეა, ისინი ზღვის ზედაპირიდან შესაბამისად 2310 მ და 3070 მ სიღრმეებზეა განთავსებული.

გარემოში, ამ შემთხვევაში კი ზღვის წყალში, ენერჯის დანაკარგის გამო, სიღრმის გაზრდასთან ერთად, ატმოსფერულ მიუონთა რიცხვი მცირდება. აღნიშნული კარგად ჩანს სურათში 4.7., ORCA და ARCA დეტექტორების სიღრმეების გათვალისწინებით.

ფოტოგამამრავლებლების მიერ ფოტონების დაფიქსირების განსხვავებული ეფექტურობა გავლენას ახდენს გაზომვებზე, მათ შორის სიღრმეზე დამოკიდებულების გამოცხადზე. ამის გამოსასწორებლად, ჩატარდა ორნაირი სიმულაცია. პირველი, „ერთგვაროვანი“ სიმულაციის მიხედვით, ყველა PMT-ს მიენიჭა ერთნაირი ეფექტურობა, რომელიც დეტექტორის საშუალო ეფექტურობის ტოლი იყო. მეორე – კალიბრებულ სიმულაციაში კი მინიჭებულ იქნა ექსპერიმენტულად გაზომილი, რეალური ეფექტურობა. სიმულირებული სიხშირეების შეფარდება გამოიყენება თითოეული ოპტიკური მოდულისთვის გაზომილი თანხვედრათა სიხშირეების კორექტირებისთვის, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$R_{corrected}^{data} = R_{measured}^{data} * \frac{R_{uniform}^{MC}}{R_{calibrated}^{MC}} \quad (4.1)$$


სურათზე 4.8. წარმოდგენილია როგორც გაზომილი (ლურჯად), ასევე შესწორებული (წითლად) თანხვედრათა სიხშირის დამოკიდებულება ზღვის სიღრმეზე (წითლად).



სურათი 4.8. ყველა ოპტიკური მოდულისთვის თანხვედრათა მრავლობითობა  $\geq 8$  შემთხვევების დამოკიდებულება ზღვის სიღრმეზე. ARCA და ORCA დეტექტორებით გაზომილი სიხშირეები წარმოდგენილია ლურჯად, ფოტოგამამრავლებელთა ეფექტურობის გათვალისწინებით მიღებული სიხშირეები ნაჩვენებია წითლად. განაწილებაზე წარმოდგენილია სტატისტიკური ცდომილებებიც, თუმცა ისინი იმაზე მცირეა, ვიდრე მონაცემთა აღმნიშვნელი მარკერები.

